გაზეთი ზედმეტად ლამაზი „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№40 (1582) 3-9 ნოემბერი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც გერი და მისი ყოფილი შეყვარებული მოკლა

ორმაგი ტრაგედია ჯანდარის ტბის სანაპიროზე

საბედისწერო ნოემბერი

რატომ ვერაფერი ისწავლა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა სისხლიანი 7 ნოემბრისგან

ირაკლი წერეთელი: „დღევანდელი ოპოზიცია სამარცხვინოა და კოალიციაც აბსოლუტური სისულელეა!“

„ზვიადი და მერაბი ცოცხლები რომ იყვნენ, სააკაშვილისა და მისი ფანატიკოსი შერეკილების ბუნდღა არ დარჩებოდა!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

გია ხუხაშვილი: „ენმ-ს შიდა დაპირისპირებაში მიშამ გაიმარჯვა!“

„ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია არ არის!“

სამეგრელოს პოლიციამ ფოთში ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული თ.გ., ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, ნაცნობს – 1979 წელს დაბადებულ თ.ც.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე დაზიანებები მიაყენა. დაშავებული ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

პოლიციამ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული კ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ეჭვიანობის ნიადაგზე, სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1981 წელს დაბადებულ ვ.ხ.-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, კ.ს.-მ თავის მეუღლეს – 1991 წელს დაბადებულ თ.გ.-ს ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა. დაჭრილი ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კ.ს. მომხდარიდან რამდენიმე წუთში, თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები – დანა და სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სოფელ ყარაჯალაში, პატრულირების დროს, გზაზე შეკრებილ 15-მდე მოქალაქეს, რომლებსაც ერთმანეთთან სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება ჰქონდათ, მართლწესრიგის დაცვისკენ მოუწოდეს.

სიტუაციის განეიტრალების მიზნით, პოლიციის თანამშრომლებმა ასევე გამოიძახეს პოლიციის დამატებითი მორიგე ჯგუფები.

სამართალდამცველები მხარეებს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდებდნენ და სიტუაციის განმუხტვას ცდილობდნენ, თუმცა მხარეები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოწოდებებს და განაგრძეს ერთმანეთთან ფიზიკური დაპირისპირება.

ასევე, ჩხუბში მონაწილე ერთ-ერთი მხარე პოლიციის მიმართ გახდა აგრესიული. მათ სამართალდამცველებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

მომხდარი ინცინდენტის დროს დაშავებული მოქალაქეები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ინციდენტის დროს, სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს პოლიციის თანამშრომლებმაც.

დაპირისპირებაში მონაწილე, როგორც მხარეების, ასევე, იმ პირთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს, შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები გრძელდება.

თელავის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო ყარაჯალაში, მოქალაქეებს შორის მომხდარ ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით, ხოლო პოლიციის თანამშრომლებზე განხორციელებული თავდასხმისა და დაუმორჩილებლობის ფაქტზე – სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით.

საქმეს იძიებს კახეთის სამხარეო პოლიციის დეპარტამენტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული პ.ს. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში დააკავეს და მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს: მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, 9 ვაზნა და პნევმატური პისტოლეტი, ასევე, ფული – 11 200 დოლარი, 50 ევრო და 3 695 ლარი.

პოლიციამ სოფელ კრწანისში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, საბრძოლო ხელყუმბარა და ამფეთქი ფალია ამოიღო. სამართალდამცველებმა თბილისში, პ.ს.-ის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ტტ“-ს კონსტრუქციის 3 პისტოლეტი, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, „კომპაქტის“ და „არკუსის“ მოდელების 2 პისტოლეტი, „გეკოს“ ტიპის 2 იარაღი, 4 სანადირო გლუვლულიანი თოფი და 3 შაშხანა, სასწავლო ხელყუმბარა და სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 4 182 საბრძოლო ვაზნა. ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია ფული – 36 700 დოლარი.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ვახტანგ გომელაური აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) ახალ ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) ახალ ხელმძღვანელს, სარა რუპერტს და საქართველოში აშშ-ის საელჩოს იურიდიულ საკითხებში მრჩეველს, ლანა მორტონ ოუენსის შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს შორის არსებული თანამშრომლობა და მიღწეული შედეგები, ასევე, განსაზღვრეს სამომავლო გეგმები და პრიორიტეტული მიმართულებები.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა INL-ის ხელმძღვანელს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა მიმართულებებით.

police.ge

საბედისწერო ნოემბერი

რატომ ვერაფერი ისწავლა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა სისხლიანი 7 ნოემბრისგან

ნინო დოლიძე

ნოემბერი საქართველოსთვის საკრალური და საბედისწეროა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2007 წლის 7 ნოემბერი ის თარიღია, რომელმაც მხოლოდ მაშინდელი ხელისუფლების, ესე იგი, ნაციონალური მოძრაობის კი არა, პრინციპში, ქვეყნის უახლესი მომავლის ბედი გადაწყვიტა ანუ მართალია, ამ სისხლიანი დრამიდან 14 წელი გავიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმ დღის ექო ქართულ პოლიტიკას ერთგვარ შლეიფად მოჰყვება და გარკვეულ „ფაზლსაც“ ქმნის. ისე, 7 ნოემბრის, ასე ვთქვათ, კომპლექსს თავს, როგორც ჩანს, ვერც ენმ აღწევს. ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის მეორე ტურის შემდეგ, რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა ოპოზიციამ, უფრო სწორად, ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც ყოფილ ხელისუფლებასთან „ილინკება“, განაცხადა, რომ დიდ საპროტესტო აქციას 7 ნოემბერს გამართავს და არჩევნების გაყალბებას გააპროტესტებს. ეს განცხადება ენმ-ს ახლანდელმა ლიდერმა, ნიკა მელიამ გააკეთა, რომელიც, სხვათა შორის, 2007 წლის ნოემბერში „ნაცმოს“ მოწინააღმდეგე იყო.

საერთოდ, ადამიანის ტვინი ძალიან, ძალიან უცნაური ფენომენია – არავინ იცის, როდის რას „გაიხსენებს“, თან ისე, რომ პიროვნებას არაფერს ჰკითხავს. შესაძლოა, მელიას შემთხვევაშიც ასე მოხდა და აქცია 7 ნოემბერს ამიტომაც დააანონსა, მით უმეტეს, რომ ხმა დადის, ენმ-ში შიდა დაპირისპირებაა და მელიასა და მიშას გარემოცვა ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვისო. შესაძლოა, ეს ჩვეულებრივი „ფეიკია“ და მეტი არაფერი, მაგრამ ჯერ ერთი, კვამლი უცეცხლოდ არასოდეს ჩნდება, მეორეც, როგორც კი „ძირძველმა ნაცებმა“ გაიაზრეს, რომ 7 ნოემბერს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტი აქციის გამართვა წამგებიანი იქნებოდა, რადგან ადამიანებს 14 წლის წინანდელი სისხლისღვრა გაახსენდებოდათ, მაშინვე განაცხადეს, აქცია 7-ში კი არა, 6 ან 8 ნოემბერს იქნებაო.

ასეა თუ ისე, ისეთი პირი უჩანს, რომ წლევანდელი ნოემბერიც მშვიდი არ იქნება. ყოველ შეთხვევაში, ენმ-თან „დალინკული“ ოპოზიცია აუცილებლად შეეცდება, რომ დუღილის ტემპერატურა ასწიოს. სხვათა შორის, „ნაცები“ ხუმრობენ, თურმე, ნოემბერი ჩვენი თვეაო, მაგრამ ოცნებას, როგორც ამბობენ, კაცი არ მოუკლავს. ჰოდა, ოცნების უფლება ენმ-ს „სასტავსაც“ აქვს, თან კარგი იქნება, თუ ოცნებას თავს გაანებებენ და 14 წლის წინანდელ სისხლიან ამბებს, მინიმუმ, იმიტომ მაინც გაიხსენებენ, რომ საკუთარი მარცხის ალგორითმი ამოხსნან.

და მაინც, რა მოხდა 2007 წლის 7 ნოემბერს?

იმ წვიმიან დილას, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე სულ რამდენიმე ათეული ადამიანი იმყოფებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ანტინაციონალური ფრონტის ლიდერებმა რუსთაველის გამზირის გადაკეტვის გადაწყვეტილება მაინც მიიღეს. პირველი დაპირისპირებაც სწორედ ამ დროს მოხდა... საერთოდ, 2007 წლის შემოდგომაზე მასობრივი საპროტესტო აქციები ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერის გამო დაიწყო. მეტიც, სუბიექტი, რომელმაც „ვარდების საქართველოში“ ადამიანების „ტრუსიკ-მაიკით“ დაკავების პრაქტიკა დანერგა, ლამის ეროვნულ გმირად შერაცხეს, თუმცა ოქრუაშვილის გმირობის მითი საპნის ბუშტივით გასკდა – რამდენიმედღიანი პატიმრობის შემდეგ, საგამოძიებო უწყებებმა „ოქროს“ თვითაღიარების ვიდეოკადრები გაავრცელეს. ითქვა, სააკაშვილის მეგობარყოფილმა წამებას ვერ გაუძლო და აღიარებაზეც ამიტომ წავიდაო. შესაძლოა, არც უამისობა იყო, მაგრამ ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო უცნაურად განვითარდა – პატიმრობიდან გათავისუფლებული „სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდი“ საქართველოს ტოვებს და გეზს პარიზისკენ იღებს.

სხვათა შორის, სიმბოლურია, რომ იმ საქმეში, რომლის გამოც მიხეილ სააკაშვილი დღეს მსჯავრდებულია, მის წინააღმდეგ ჩვენება ირაკლი ოქრუაშვილსაც აქვს მიცემული, თუმცა დღეს, თავდაცვის ექსმინისტრი სააკაშვილის გათავისუფლების მომთხოვნთა სიაშია...

პარლამენტის წინ მიმდინარე მაშინდელი აქციის მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გადადგომა იყო... 7 ნოემბერს, დღის პირველ ნახევარში ანუ მას შემდეგ, რაც გზის გადაკეტვის მცდელობას მცირე შეხლა-შემოხლა მოჰყვა, ოპოზიციის მხარდამჭერები მთელი ქალაქიდან რუსთაველისკენ დაიძრნენ და... მოვლენები კულმინაციას 12:30 საათზე აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საპატრულო პოლიცია აქციის დაშლას ხელკეტებით იწყებს.

12:50 საათზე, რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი გამოჩნდა, რომელიც აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს... მოწამვლის, ნევროლოგიური შოკისა და რესპირატორული გზების დამწვრობით, სამედიცინო დაწესებულებებს 250-მდე პაციენტი მიმართავს.

16:00 საათისთვის, საპროტესტო აქცია რიყეზე გადაინაცვლებს, სადაც ხალხს ოპოზიციის ლიდერები მიმართავენ. ამასობაში, აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი პარლამენტისკენ იძვრება.

რიყეზე სამხედრო ქვედანაყოფებია მობილიზებული.

პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპოზიციის ლიდერთა სატელეფონო საუბრებსა და მათი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს ავრცელებს. ფარულ კადრებში შალვა ნათელაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები, ასევე, გოგა ხაინდრავა ფიგურირებენ.

შსს-ში აცხადებენ, რომ ოპოზიციის ლიდერები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინირებდნენ.

საქართველო რუსეთიდან ელჩ ირაკლი ჩუბინიშვილს იწვევს. ამასთან, საგარეო უწყებაში რუს დიპლომატ ვიაჩესლავ კოვალენკოს იბარებენ.

17:40 საათზე, რიყეზე აქციის დარბევა იწყება. სპეცრაზმი კვლავ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს.

მოგვიანებით, ბადრი პატარკაციშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და მომხდარს „ბოლშევიკურ პუტჩს“ უწოდებს.

20:55 საათზე, სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შედის. ტელევიზიასთან მოქალაქეები იკრიბებიან. საპატრულო პოლიცია ხალხს ხელკეტებითა და წიხლებით უსწორდება. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცრემლსადენი გაზი გაუშვეს... მოგვიანებით, „იმედის“ ჟურნალისტები იტყვიან, რომ სპეცრაზმის თანამშრომლები სასტიკად ექცეოდნენ – იატაკზე დააწვინეს და იარაღი დაადეს...

საერთოდ, აქციების დაშლისას ხელკეტებისა თუ ცრემლსადენი გაზის გამოყენება ზედემოკრატიულ ქვეყნებშიც აპრობირებულია. პოლიციასა და სპეცრაზმს ძალის გადამეტებაში ბრალს განვითარებულ ქვეყნებშიც სდებენ, თუმცა იმის პრეცენდენტი, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ხელისუფლებას ფსიქოტრონული იარაღი გამოეყენებინა, თითქმის არ არსებობს. საქართველო კი ამ მხრივაც პიონერია. ყოველ შემთხვევაში, შვიდი წლის წინ, კერძოდ, 2014 წლის ოქტომბერში, რუსული მედია სკანდალურ ცნობას გაავრცელებს, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 7 ნოემბერს, ნაციონალებმა მომიტინგეებს „ტვინზე სასიკვდილო დარტყმა“ მიაყენეს ანუ აქციის დასაშლელად, თითქოს, ფსიქოტორნული იარაღი გამოიყენეს...

სპეციალისტების მტკიცებით, ფსიქოტრონული იარაღის გამოყენების ძირითადი მიზანი იმ ადამიანთა განადგურებაა, რომლებიც არ ეგუებიან საზოგადოებაში „დამკვიდრებულ“ ცხოვრების წესს, საკუთარი ხედვით გამოირჩევიან, რაც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს მმართველი სისტემისთვის, რადგან მასობრივად გავრცელებული იდეოლოგიის საფუძვლების შერყევა შეუძლიათ. ასეთი ადამიანების პირდაპირი ლიკვიდაცია ყოველთვის აღძრავს გარკვეულ ეჭვს, ამიტომაც მათ მიმართ იგეგმება და ხორციელდება მხოლოდ ე.წ. არალეტალური ღონისძიებები.

დანამდვილებით იმის თქმა, რომ 2007 წლის 7 ნოებერს, ნაციონალებმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენეს, შეუძლებელია, თუმცა მაშინვე ყურადღება მიიქციეს ე.წ. რობოკოპის სამოსში გამოწყობილმა სპეცრაზმელებმა.

ამასთან, აქციის მონაწილეები მოგვიანებით გაიხსენებენ, რომ წყლის ჭავლისა თუ ცრემლსადენი გაზის პარალელურად, უცნაური ხმა ესმოდათ, რომელსაც ჯავშანმანქანა გამოსცემდა.

„რიყეზე უმძიმესად დაჭრილი ერთ-ერთი მოქალაქის წინააღმდეგ გამოყენებული საშუალების კონკრეტული სახეობა საქართველოში ალტერნატიულმა ექსპერტიზამ ვერ დაადგინა. მოგვიანებით, ჭრილობის ამსახველი ფოტოები ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უჩვენა ორ უცხოელ ექსპერტს, რომელთა დასკვნით, ეს „დუმდუმია“. ენციკლოპედიური განმარტებით, ე.წ. დუმდუმის ტყვია უმძიმეს ჭრილობას, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის წამებით სიკვდილს იწვევს და მისი გამოყენება ჰააგის კონფერენციამ ჯერ კიდევ 1899 წელს აკრძალა.

7 ნოემბერს დაზარალებული სამი ადამიანის საქმის გამო, ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნეს ბოლო განმარტება, რომლის თანახმადაც, დაზარალებულთათვის სტატუსის მინიჭების ყველა შესაძლებლობას ისინი ამოწურულად, შიდა სამართლებრივ მექნიზმებს კი უსარგებლოდ მიიჩნევენ, ამიტომ უშუალოდ ევროპულ სასამართლოს მიმართავენ. ამჟამად პროკურატურაშია 2007 წლის 7 ნოემბერს დაზარალებული კიდევ ორი მოქალაქის საქმე, რომლის გამოც გამოძიების მსგავსი პასუხის შემთხვევაში, ადვოკატები ასევე, სტრასბურგს მიმართავენ“, – ნათქვამია „რადიო თავისუფლების“ სტატიაში, რომელიც 2009 წლის 6 ნოემბრით თარიღდება.

მართალია, მიხეილ სააკაშვილმა 7 ნოემბრის ცოდვა ჯერ კიდევ 2008 წელს მოინანია და თქვა, ყველას დიდი გავეთილი მოგვცაო, მაგრამ ამის მიუხედავად, ყოფილი პრეზიდენტის ბრალდებაში 2007 წლის სისხლიანი ნოემბრის ეპიზოდებიც ფიგურირებს.

ისე, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილისა და, საერთოდ, ნაცმოძრაობის დასამარება, სწორედ 7 ნოემბრით დაიწყო. შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ 7 ნოემბერმა სხვა სახის პოლიტმანკიერებანიც გამოავლინა, კერძოდ, ნათელი გახდა, რომ ოპოზიციას, განსაცდელის მიუხედავად, ერთ მუშტად შეკვრა არ შეუძლია ანუ 7 ნოემბრის შემდეგ, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია კი შეიქმნა, მაგრამ როგორც იმხანად კულუარებში ამბობდნენ, ამ გაერთიანებაში შემავალ ყველა სუბიექტს კერძო ინტერესები ამოძრავებდა, რაც გამოჩნდა კიდეც: გაერთიანებულმა ოპოზიციამ იმდენი ვერ შეძლო, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ბადრი პატარკაციშვილისთვის დაეჭირა. ამიტომ, ცხონებული ოლიგარქი, რომელიც, პრაქტიკულად, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების მოტორი იყო, ვადამდელ არჩევნებზე მარტოხელა მგლის ამპლუაში მოგვევლინა. გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელსაც, როგორც ამბობენ, გარკვეულ ფინანსურ დახმარებას სწორედ პატარკაციშვილი უწევდა, ოლიგარქს კონკურენტად ლევან გაჩეჩილაძე „ჩაუსვა“. გაჩეჩილაძე კი, როგორც მოგვიანებით ბადრი ბიწაძემ განაცხადა, ფარულად, თურმე სააკაშვილს ხვდებოდა.

ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებით, სურათი ასეთია: ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჭირიც ვერ აერთიანებს.

ჰო, ჩვენი პოლიტიკური ელიტა ავადაა, მაგრამ ამის აღიარება არ უნდა და ამიტომაც, საბედისწერო შეცდომას შეცდომაზე უშვებს...

ირაკლი წერეთელი: „დღევანდელი ოპოზიცია სამარცხვინოა და კოალიციაც აბსოლუტური სისულელეა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34



„ზვიადი და მერაბი ცოცხლები რომ იყვნენ, სააკაშვილისა და მისი ფანატიკოსი შერეკილების ბუნდოა არ დარჩებოდა!“

1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნებიდან, რომელშიც ხმების 54%-ით, დამაჯერებელი გამარჯვება „მრგვალმა მაგიდამ – თავისუფალი საქართველო“ მოიპოვა, 31 წელი გავიდა და რაკი სსრკ-ის კომუნისტურ პარტიას მხოლოდ 29.6% ჰქონდა, რა გასაკვირია, რომ პირველივე სესიაზე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია ერთხმად აირჩიეს... საგულისხმოა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მაშინდელი ოპოზიციის ნაწილს, მათ შორის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას არ მიუღია. პარტიის ლიდერი, ირაკლი წერეთელი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის არმიღება სტრატეგიული შეცდომა იყო...

– ბატონო ირაკლი, 1990 წლის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი რატომ თქვით?

– დღევანდელი გადმოსახედიდან, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს მხოლოდ დადებითად ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიაში დიდი ისტორიული მნიშვნელობის სასიკეთო მოვლენაა, რადგან ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1921-დან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, საქართველოში დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა. მხოლოდ ერთპარტიული, საბჭოთა, სასაცილო და აბსურდული არჩევნები ტარდებოდა, რომელსაც მსოფლიოში „არჩევნებს“ არავინ ეძახდა.

მოკლედ, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებისა ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, 1990 წლის 18 ოქტომბრის არჩევნები პირველი დემოკრატიული არჩევნები იყო, რომელშიც ეროვნულმა ძალამ, ზვიად გამსახურდიას ლიდერობით გაიმარჯვა და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლების სათავეში მშობლიური, ეროვნული წიაღიდან, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობიდან აღზევდა.

ამ არჩევნებმა ისტორიულად გაამართლა იმიტომ, რომ ამის შედეგად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ ანუ საქართველოს უმაღლესმა საპარლამენტო ხელისუფლებამ, საქართველოში საბჭოთა წყობა ოფიციალურად გააუქმა, აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, დამოუკიდებელი საქართველოს გერბი, დროშა, ჰიმნი და რაც მთავარია, გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ე.ი. ამ არჩევნების შედეგად გამარჯვებულმა ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ქართველ ერსა და საქართველოს ბოლშევიკური იმპერიის მიერ წართმეული ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაუბრუნა. ყველაფერი ეს 1991 წლის 9 აპრილს გადაწყდა, მაგრამ ოფიციალური სტატუსი დამოუკიდებლობამ მხოლოდ ხელისუფლების ოფიციალური მოქმედების შედეგად მიიღო ანუ სანამ ხელისუფლებაში ბატონი ზვიადი არ მოვიდა და სახელისუფლებო ძალას არ წარმოადგენდა, ის სახელმწიფოებრივ სტატუსს ვერ მიანიჭებდა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

საერთოდ, დამოუკიდებლობაზე მეტი სიკეთე არ არსებობს. მანამდე ჩაატარა საყოველთაო რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას საყოველთაო ეროვნული ხასიათი მიენიჭა.

1918 წლის 26 მაისს, მთელ საქართველოში გამოცხადდა დამოუკიდებლობა და მაშინ ეროვნული საბჭო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, არ იყო ქართველი ერის არჩეული. ამ შემთხვევაში კი დამოუკიდებლობის აღდგენამ ორჯერ შეიძინა საყოველთაო ეროვნული სტატუსი იმიტომ, რომ უზენაესი საბჭო, ეროვნული საბჭოს მსგავსად, ეროვნული ყრილოების მიერ კი არა, არამედ, ქართველი ერის მიერ საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და უშუალო კენჭისყრით იყო არჩეული. დამოუკიდებლოს აღდგენას წინ რეფერენდუმი უძღოდა. მე რომ მკითხოთ, რეფერენდუმის ჩატარება საჭირო სულ არ იყო იმიტომ, რომ უზენაესი საბჭო ისედაც ქართველი ხალხის მიერ გახლდათ არჩეული, მაგრამ რეფერენდუმის ჩატარებით, ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა კიდევ უფრო გააძლიერა, ისტორიულად დაუმარცხებელი გახადა და მადლობა ღმერთს, რომ თუ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობა სამ წელიწადში დაიკარგა, 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობა მარადიული გახდა, რადგან გავიდა ზუსტად 30 წელზე მეტი, ბევრი უბედურება გადავიტანეთ ტერიტორიული დანაკარგებით, იყო ახალ-ახალი აგრესიები, საოკუპაციო შემოტევები და ქვეყანაში მდგომარეობაც მძიმეა, მაგრამ დამოუკიდებლობას ვერავინ ეხება.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას ოფიციალურად აღიარებს არა მხოლოდ გაერო, არამედ, მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ყველა სახელმწიფო. ამიტომ, 28 ოქტომბრის არჩევნები, შედეგითა და მასშტაბით, უდიდესი მოვლენაა ქართველი ერის ისტორიაში! სწორედ ამ არჩევნებით არჩეულმა ხელისუფლებამ განაპირობა რეფერენდუმით ქართველი ერის გამარჯვება. ეს არჩევნები რომ არა, ვერც საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა და ქართველებს არ ექნებოდათ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ბედნიერება.

დასასრული მე-5 გვერდზე

ირაკლი წერეთელი: „დღევანდელი ოპოზიცია სამარცხვინოა და კოალიციაც აბსოლუტური სისულელეა!“

ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა და არავინ სხვა, სწორედ 28 ოქტომბრის არჩევნებმა მოიტანა, რადგან სხვა რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა ის სიდიადე. მერაბ კოსტავას არ ვგულისხმობ იმიტომ, რომ ის აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ რომც ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, მერაბ კოსტავა არ მიიღებდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და ზვიადს არ დაუპირისპირდებოდა.

28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ არ მივიღე, რომ მიმაჩნდა, კომუნისტური რეჟიმის დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიგვეღო, თუმცა ახლა რომ ვაანალიზებ, ეს ჩვენი ტაქტიკური შეცდომა იყო, მაგრამ ჩვენი არმონაწილეობით საქმე არ გაფუჭებულა იმიტომ, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებამდე რომ გამოვედი ტელევიზიით ზვიადის წინააღმდეგ, როგორც თავად ზვიადმა აღნიშნა, ჩემმა გამოსვლამ 25% აჩუქა „მრგვალ მაგიდას“ და საბოლოოდ, ჩვენ მაინც ერთად ვიზეიმეთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

– როგორ ფიქრობთ, მაშინ კოალიციური მთავრობის მიერ, რა შეცდომები იქნა დაშვებული?

– ეგეთი ხელისუფლება საქართველოს მას შემდეგ არ ჰყოლია! უბრალოდ, მოხდა რუსეთის დამპალი იმპერიის კრემლისტური გადატრიალება და კანონიერი, ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს ოკუპანტებმა. ზვიად გამსახურდიას მსგავსი პრეზიდენტი საქართველოს არ ჰყოლია! ის პარლამენტიც ძალიან კარგი იყო, იქ, ზვიადთან ერთად, იყვნენ ეროვნული ძალები – „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, ბატონი ვაჟა ადამია, „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“, მუხრან მაჭავარიანი, გია ხავთასი, თედო პაატაშვილი... იქაურობას ვაკლდით მხოლოდ მე და ირაკლი ბათიაშვილი და ესეც ჩვენი ბრალია.

ეს გადატრიალება არ ყოფილა, ეს იყო რუსეთის იმპერიული აგრესიის გაგრძელება, რომელიც 1921 წელს დაიწყო. ზვიად გამსახურდიასა და „მრაგვალი მაგიდის“ სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ ახალი დამოუკიდებლობა კი არ მოუტანეს საქართველოს, არამედ, აღადგინეს ის პირველი, ქართული, დემოკრატიული და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც ისტორიულად და იურიდიულად არსებობდა. უბრალოდ, ფაქტობრივად წაშალა ბოლშევიკურმა აგრესიამ და ეს არ აპატია რუსეთმა ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ ხელისუფლებას, ისარგებლა შიდა ეროვნული განხეთქილებით, აგენტებით და მოაწყვეს უბინძურესი გადატრიალება ქართველი ერის წინააღმდეგ. დღემდე კანონიერი ხელისუფლებაა, ყველა ხელისუფლება აგენტურული და მოღალატეობრივია. როგორც ჩანს, უზენაეს საბჭოშიც იყვნენ აგენტები და მაქვს ამაზე ინფორმაცია, უბრალოდ, ხელს არავის დავადებ, რადგან მინდა, დღეს ყველა ერთად ვიყოთ. უბრალოდ, დიდი დანაშაული იყო ის, რომ ცივილიზებულ დასავლეთს არ უნდა დაეშვა იმ ხელისუფლების დამხობა, ეს იყო დიდი შეცდომა.

ისე, რეფერენდუმში მივიღე მონაწილეობა და ხალხსაც მოვუწოდე, რომ მიეღო მონაწილეობა. საპრეზიდენტო არჩევნები უკვე აღარ გამიპროტესტებია და მხარი დავუჭირე ზვიად გამსახურდიას. ასე რომ, ჩვენს შორის უკვე კარგი ურთიერთობა იწყებოდა და „მრგვალ მაგიდაში“ ვიქნებოდი თუ არა, ჩემი იქ არყოფნით, ეროვნულ ხელისუფლებას არაფერი დააკლდებოდა, ამით მე დამაკლდა. მე რომ ვყოფილიყავი, გადატრიალებას არ დავუშვებდი...

– ბატონო ირაკლი, დღევანდელობასთან რა პარალელს გაავლებთ და რა მიგაჩნიათ კოალიციური მთავრობის წარმატების ფორმულად?

– დღევანდელი ოპოზიცია ყოვლად სამარცხვინოა და კოალიცია არ უნდა იყოს. ეს აბსოლუტური სისულელეა. მაშინ კოალიცია კი არა, ერთი ძალა იყო და ერთი ლიდერი ჰყავდა – ზვიად გამსახურდია! კოალიცია კი არ განსაზღვრავს ხელისუფლების სიკეთეს, არამედ, პერსონალური შემადგენლობა. დღეს ოპოზიციის ლიდერი სამარცხვინო კაცი, მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც ეროვნული ღალატი, შეიძლება, დაუდასტურდეს თუნდაც იმიტომ, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურობა აღადგინა და ტერიტორიები მოღალატეობრივად დათმო. უბრალოდ, ვინაიდან პატიმარია და შიმშილობს, მასზე არ მინდა ვილაპარაკო, რადგან მე, როგორც ყოფილი პატიმარი და მოშიმშილე, არავის პატიმრობას მხარს არ ვუჭერ!

რამდენიმე დღის წინ, გრანდიოზულმა, მრავალრიცხოვანმა დემონსტრაციამ დაამტკიცა, რომ დღევანდელ ცრუ ოპოზიციას გაცილებით მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მხარდამჭერი. ზვიადის კონტექსტში დღევანდელი ოპოზიციის ხსენებაზე ძალიან დიდი ფულადი ჯარიმა უნდა იყოს! ის იყო ხელისუფლება, რომელმაც საქართველოს მოუტანა თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

– ზოგი მიხეილ სააკაშვილსა და ზვიად გამსახურდიას შორის პარალელს ავლებს...

– დედამიწაზე იბადებიან ადამიანები, რომელთაც ნამუსის, სინდისის, კეთილშობილებისა და გონიერების ნიშანწყალი არ აქვთ – გამსახურდიასა და სააკაშვილს შორის პარალელის გავლება როგორ შეიძლება?! მიხეილ სააკაშვილი ძალიან ბედნიერი ადამიანია, ზვიად გამსახურდიამ რომ ვერ მოუსწრო, რადგან სააკაშვილისა და მისი ფანატიკოსი შერეკილების ბუნდღა არ დარჩებოდა, ზვიადი და მერაბი რომ ცოცხლები იყვნენ! უძაღლო ქვეყანაში აყეფდა კატაო, რომ იტყვიან!.. უბრალოდ, რეპრესიების წინააღმდეგი ვარ და მირჩევნია, რომ მიუხედავად დღევანდელი ოპოზიციის სამარცხვინო წარსულისა, მაინც შერიგება და ერთად ყოფნა სჯობს განხეთქილებასა და დაპირისპირებას, თუმცა 27 ოქტომბერს, ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი იყო აქციაზე და ყველამ მითხრა, იმდენი ხელისუფლების მომხრე არ იყო, რამდენიც „ნაცებისა“ და მათი სატელიტური ოპოზიციის მოწინააღმდეგეებიო. ამ რაოდენობის ხალხი საქართველოში ერთხელ იყო 9 აპრილის წლისთავზე – მაშინ გამოვიდა 150 000 კაცი; 26 მაისს იყო კიდევ, 9 აპრილის შემდეგ – მაშინაც მთელი საქართველო გარეთ გამოვიდა და როგორც ამბობენ, 27 ოქტომბერს გამოსული რაოდენობა გაუტოლდა 2012 წლის 29 სექტემბერს, ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოყვანილი ხალხის ოდენობას, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.

ბოლოს, ვიტყვი: ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, ხელისუფლებაში ჩემი არყოფნის მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს იდეამ გაიმარჯვა და როგორც არასდროს, დამოუკიდებელი საქართველო სტრატეგიულად მეგობრულ კავშირშია აშშ-თან. ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, მანამდე – ნატო-ს სამხედრო კომიტეტი და ნატო-ს მინისტერიალმა მხარი დაუჭირა კიდევ ერთხელ საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას.

ძალიან მინდა, რომ ეროვნული ძალები დავბრუნდეთ ხელისუფლებაში, მაგრამ ვინც უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში, ვიცი, რომ საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ვერავინ ვეღარაფერს დააკლებს და ეს დიდი, ისტორიული გამარჯვება, რომელიც დაიწყო ქართველმა ერმა 9 აპრილით, დაგვირგვინდა, სწორედ 9 აპრილს, დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით! 9 აპრილს რომ დამოუკიდებლობა გამოცხადდა და შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და დღემდე ერთადერთი, დამოუკიდებელი პრეზიდენტი ავირჩიეთ, ეს არის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგი. რომ არ ყოფილიყო 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, არც რეფერენდუმი იქნებოდა ასეთი წარმატებული.

28 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა ყოველგვარი ძალადობისა და გაყალბების გარეშე. თვითონ გიორგი ჭანტურიასაც კი, რომელიც უპირისპირდებოდა ზვიად გამსახურდიას და ზვიადის არც ერთ სხვა მოწინააღმდეგეს არ უკადრებია, 28 ოქტომბრის ან რეფერენდუმის შედეგებში ეჭვი შეეტანა! არავის უთქვამს, რომ არჩევნები გაყალბდა, ის იყო ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები. ზვიად გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს ეროვნულობასთან ვერ მოვა ვერც წინა და ვერც დღევანდელი ხელისუფლება!

„ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია არ არის!“

გია ხუხაშვილი: „ენმ-ს შიდა დაპირისპირებაში მიშამ გაიმარჯვა!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

არჩევნების მეორე ტურში, წალენჯიხის გარდა, ყველა ქალაქსა და თემში სახელისუფლებო კანდიდატმა გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველი ძალა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც აბსოლუტურ უმრავლესობას ინარჩუნებს. ოპოზიცია კი არჩევნების შედეგს არ აღიარებს და აპირებს „ბრძოლას ბოლომდე“. ოპოზიციურმა პარტიებმა რუსთაველზე, 31 ოქტომბერს, აქციაც გამართეს და 7 ნოემბრისთვის მასშტაბური საპროტესტო დემონსტრაცია დააანონსეს, თუმცა აქციის თარიღი მალევე 6 ნოემბრით შეცვალეს. ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არაა, თუ რატომ არ აირჩია ნაციონალურმა მოძრაობამ აქციის თარიღად 7 ნოემბერი, მაგრამ ეს ცალკე სამსჯელო თემაა... „ვერსია“ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ანალიტიკოს გია ხუხაშვილს ესაუბრა.

– ბატონო გია, არჩევნების მეორე ტურს როგორ აფასებთ?

– არაფერი იცვლება – სამწუხაროდ, საქმე ისევ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებასთან გვაქვს, რაც ამ ხელისუფლების მოგონილი არაა, წინა ხელისუფლებაც იგივე მანკიერ მეთოდებს იყენებდა. ამ ხელისუფლებამ კი იგივე „მამაძაღლობა“ ისწავლა, როგორც შეუძლია, „მამაძაღლობს“ და ამაში საკმაოდ დიდ რესურსს დებს. ყველაფერ ამას ახალი „ფერებიც“ დაამატა – „ძველი ბიჭები“ დააყენა დამკვირვებლებად არჩევნებზე, რაც სახელმწიფოს, საბოლოო ჯამში, საკმაოდ ძვირი დაუჯდება. აი, ამ სევდიან სურათს ვუყურებთ. მიუხედავად ამისა, დამარცხების ზღვარზე გაიარა პარტიასთან, რომელსაც დამნაშავედ აცხადებს და 9 წელია, ამთავრებს. ნაციონალური მოძრაობა 2012 წელს, ფაქტობრივად, უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სულ იზრდება და იზრდება... საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ როგორც თავად ამბობენ, დამნაშავე პარტიას ძლივს მოუგეს არჩევნები.

– ახლა მნიშვნელოვანია, რა სტრატეგიას აირჩევს ოპოზიცია...

– ფაქტია, რომ რევოლუციური სიტუაცია ქვეყანაში არ არის, ძალიან მარტივი მიზეზის გამო – რევოლუცია მაშინ ხდება, როცა ერთ მხარეს სტერილური ხელისუფლებაა, მეორე მხარეს კი კონსოლიდირებული ხალხი, თავის პოლიტიკურ ერთეულთან ერთად. სინამდვილეში, ახლა ეს სიტუაცია არ არის. კი ბატონო, ხალხის ნაწილი ძალიან გაბრაზებულია, მაგრამ არსებობს ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც ეს ხელისუფლება არ მოსწონს, თუმცა მის თვალში ის პოლიტიკური ცენტრიც კომპრომეტირებულია და არ აპირებს, მას გაჰყვეს. შესაბამისად, ის კრიტიკული მოცემულობა, როცა რევოლუციის წინაპირობა იქმნება, არ არსებობს და ტყუილად ნუ შექმნიან ისეთ მოლოდინს, რაც უდავოდ, იმედგაცრუებით დასრულდება – ეს კი არაერთხელ მომხდარა. თუ აქციებს იმ მიზნით ატარებ, რომ დილას დაიწყო და საღამოს დაამთავრო, ასე არაფერი მოხდება. გასაგებია, რომ პროტესტი უნდა იყოს და ნამდვილადაა საპროტესტო, რადგან ხელისუფლებამ ყველა „მამაძაღლობა“ გამოიყენა და ამას არჩევნები არ ჰქვია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს აქციები უნდა იყოს არა იმისთვის, რომ „მოდი, ხელისუფლება დავამთავროთ“, არამედ იმისთვის, რომ ყველამ ერთად გავაუმჯობესოთ საარჩევნო გარემო, რათა შემდგომი არჩევნები კონკურენტულ, ნორმალურ და ცივილიზებულ ვითარებაში ჩატარდეს.

– ბატონო გია, მნიშვნელოვანია მიხეილ სააკაშვილის ფაქტორიც. როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს დღევანდელ პოლიტიკურ „ფაზლში“?

– ვფიქრობ, ოპოზიციამ მხოლოდ წააგო... ისევე, როგორც არაერთხელ უთამაშია, ხელისუფლების სასარგებლოდ ითამაშა სააკაშვილმა. არ ვამბობ, რომ შეგნებულად, მაგრამ ასე მოხდა. კი ბატონო, შეიძლება, თავისი პარტია გააძლიერა და სამობილიზაციო მუხტი გაზარდა, მაგრამ მისმა ამ ვოიაჟმა დანარჩენი ოპოზიცია დააზარალა.

– მათ შორის, გახარიაც, არა?

– დიახ, ოპოზიციამ, ჯამურად, 5-7%-ით წააგო და ეს რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებას 43%-იანი ბარიერი დაეძლია. რომ არ ყოფილიყო სააკაშვილის ვოიაჟი, მაღალი ალბათობით, ხელისუფლება, „მამაძაღლობის“ მიუხედავად, ამ ბარიერს ვერ გადალახავდა და შესაბამისად, ვიქნებოდით სრულიად სხვა პოლიტიკურ რეალობაში, მაგრამ როგორც დამახასიათებელია, „შუას გაკრეფის“ პრინციპით განვითარდა მოვლენები. დღესაც, დილა მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით იწყება და საღამოს მისი ადვოკატების ბრიფინგებით მთავრდება ანუ ქვეყანაში პოზიტიური დღის წესრიგი არ იქმნება, რითაც ძალიან ოსტატურად სარგებლობს ხელისუფლება.

– როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია?

– გასაგებია, პროტესტს უნდა გამოხატავდნენ, მაგრამ პროტესტი უნდა იყოს არა ხელისუფლების მეყვსეულად დასრულების მიზნით, არამედ, იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ქვეყანაში სააარჩევნო „მამაძაღლობები“.

– ზოგი ფიქრობს, რომ ენმ მიხეილ სააკაშვილისთვის ახლა საკმარისს არ აკეთებს...

– ოპოზიციამ უნდა მოითხოვოს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტიები. მხოლოდ ოპოზიცია კი არა, ამას ჩვენც უნდა ვითხოვდეთ, მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებისა სააკაშვილის მიმართ. ალბათ, იცით, რომ ვიღაცებისგან განსხვავებით, ნამდვილად მქონდა პრობლემები მასთან ურთიერთობაში, მაგრამ მიუხედავად ჩემი პირადი დამოკიდებულებისა, რა თქმა უნდა, გული შემტკივა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს... ღმერთმა არ ქნას, მართლაც, რამე მოხდეს და, ჯერჯერობით, ხელისუფლება ძალიან მყიფე ყინულზე დადის ამ მხრივ. ჩვენ გვესმის მხოლოდ ქილიკი, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ რაც უნდა თაღლითი იყოს მიხეილ სააკაშვილი, ადამიანია და ადამიანური ორგანიზმი აქვს. შესაბამისად, ნებისმიერ წუთს შეიძლება, ნებისმიერი რამ მოხდეს. მერე სად მიდიან, რამე რომ მოუვიდეს?..

– რამე რომ მოუვიდეს, მერე რა მოხდება?

– ეს ხელისუფლება დასრულდება ისტორიულად. როგორ შეიძლება, ქვეყნის პრეზიდენტი, ცუდი, საზიზღარი ან თუნდაც, საშინელი და დამნაშავე ციხეში მოგიკვდეს იმიტომ, რომ მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინე დროულად?!. ამ ხელისუფლებას მორალური უფლება ექნება, რომ ამის შემდეგ მმართველობაში დარჩეს? მგონი, არა.

– ბატონო გია, ზოგი ნიკა მელიას ადანაშაულებს, რომ საკმარისს არ აკეთებს სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად...

– რა უნდა გააკეთოს მელიამ? კი ბატონო, ვხედავ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში მელიას ძალიან უტევს „მიშისტების ფრთა“, მაგრამ საკუთარ თავს დაუსვან კითხვა – რა უნდა გააკეთოს მელიამ და არ აკეთებს? – ავტომატი აიღოს, შევარდეს, გვირაბი გათხაროს, თუ რა უნდა გააკეთოს? თუ იციან, ასწავლონ... თუმცა, გასაგებია, რა ხდება – მელიას სტრატეგია საარჩევნოდ სწორი იყო...

– რას გულისხმობთ?

– მელია ბელადსა და მიშას ირგვლივ კი არ აშენებდა საარჩევნო პროცესს, არამედ, დიდ პარტიულ თანხმობაზე აგებდა სხვადასხვა პარტიას შორის. მზად იყო, დაეთმო ბევრი თანამდებობა, კოალიციაც გამოცხადდა, პოზიტიურ დღის წესრიგს აანონსებდნენ, მაგრამ მიშა სააკაშვილის ამ სურვილმა, რომ ის ყოფილიყო მოვლენების ცენტრში და მხოლოდ მასზე გველაპარაკა, ყველაფერი ეს გადახაზა. ამან დააფრთხო ამომრჩეველი, რომელსაც შეიძლება, ეს ხელისუფლება არ მოსწონს, მაგრამ არც მიშაზე ამოსდის მზე და მთვარე და შესაბამისად, ეს ხალხი დაიკარგა საარჩევნოდ. მიმაჩნია, რომ მელიას საარჩევნო სტრატეგია იყო სწორი, მიშასი კი – არასწორი, მაგრამ როგორც ყოველთვის, მიშამ ამ შიდადაპირისპირებაში გაიმარჯვა. თვითონ ხომ არ დაიბრალებს, შემეშალაო? ვინმეს ხომ უნდა გადააბრალოს და ახლა „მიშისტების ფრთა“ აბრალებს მელიას ანუ ის განტევების ვაცია მათთვის, თორემ რეალურად თქვან, რა უნდა გააკეთოს მელიამ იმაზე მეტი, რასაც აკეთებს მიშას დასახსნელად? – ეს თავადაც არ იციან.

– ისე, ბატონო გია, როგორ მოხდა, რომ 14 წლის შემდეგ, იმ „7 ნოემბრიდან“, ამ „7 ნოემბრამდე“ მოვედით?

– სხვათა შორის, წიგნი მაქვს დაწერილი, რაც 7 ნოემბრის საკრალურ თარიღს უკავშირდება. ასე იმიტომ ხდება, რომ არჩევნები, როგორც წესი, ოქტომბრის ბოლოს ტარდება საქართველოში, იქიდან ერთი კვირა გადათვალეთ და ეგეც თქვენი 7 ნოემბერი! ასე რომ, აქ საკრალური არაფერია, უბრალოდ, კალენდრის თემაა და მეტი არაფერი...

რატომაა უკეთესი საარჩევნო ხმების დათვლა ელექტრონული ტექნოლოგიებით ანუ საარჩევნო ექსპერიმეტი კრწანისში

მაკა რუხაძე

2021 წლის 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები №4 კრწანისის საარჩევნო ოლქში განსხვავებულად ჩატარდა. ეს იყო საპილოტე პროექტი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სიორიძემ განახორციელა. სიახლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრწანისის საარჩევნო ოლქში, 31-ვე საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით წარიმართა. რეალურად, ხმების დათვლის ელექტრონული მეთოდი ერთადერთი შესაძლებლობაა, რომელსაც ყოველგვარი მანიპულაცია კენჭისყრის დღეს მინიმუმამდე დაჰყავს. რაც მთავარია, სწორედ ამ სიახლის საშუალებით, შედეგების მიღების შესაძლებლობა იქმნება კენჭისყრის დასრულებისთანავე, უმოკლეს ვადებში. რას წარმოადგენს ახალი ტექნოლოგია, რა დაუჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს მისი დანერგვა და რომელ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება ცესკო-მ? – ვიდრე ამ დეტალებს გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტექნოლოგია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია გამოცდილი – მისი გამოყენებით, ნაწილობრივ ან სრულად ტარდება არჩევნები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

სიახლე კრწანისის საარჩევნო ოლქში

მიმდინარე წლის ივნისში, საქართველოს კანონში „საარჩევნო კოდექსის შესახებ“ განხორციელდა ცვლილება, რომლითაც გადაწყდა, რომ 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები, კრწანისის საარჩევნო ოლქში ხმის მიცემის საპილოტე პროგრამით – ელექტრონული ტექნოლოგიების საშუალებით ჩატარდებოდა. კერძოდ, ამომრჩევლებმა საკუთარი არჩევანი კვლავ საარჩევნო ბიულეტენზე დააფიქსირეს, მაგრამ ხმები დათვლა ელექტრონული აპარატის, ე.წ. სკანერის საშუალებით დაითვალეს.

საპილოტე პროექტი კრწანისის ოლქის 31-ვე საარჩევნო უბანზე განხორციელდა. ცესკო-ს ინფორმაციით, ამომრჩეველზე გასცეს ერთი საარჩევნო ბიულეტენი, რომელიც სამ სვეტად იყო დაყოფილი. პირველ სვეტში შეიტანეს პარტიების სახელწოდებები დადგენილი რიგითობის შესაბამისად; მეორე სვეტში – არჩევნებში მონაწილე მერობის კანდიდატების რიგითი ნომრები, სახელები, გვარები და წარმდგენი სუბიექტები; მესამე სვეტში – მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი კანდიდატების რიგითი ნომრები, სახელები, გვარები და წარმდგენი სუბიექტები. ფურცელს ჰქონდა საკუთარი შტრიხ და QR კოდები, რათა თითოეულ ამომრჩევლის ხმა და ხმის დათვლის პროცესი უფრო დაცული ყოფილიყო.

მას შემდეგ, რაც ივნისში, „საარჩევნო კოდექსის შესახებ“ კანონში ცვლილება განხორციელდა, რა თქმა უნდა, ინფორმაცია „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა, სადაც დეტალურადაა ახსნილი, როგორ და რა პრინციპით უნდა მიეღო მონაწილეობა არჩევნებში კრწანისის ოლქის ამომრჩევლებს:

„ამომრჩეველმა კენჭისყრის კაბინაში, სპეციალური მარკერით, საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის სვეტში, მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული წრე უნდა გააფერადოს! ხმის მიცემის ფარულობის მიზნით, ამომრჩეველმა კენჭისყრის კაბინაში შევსებული საარჩევნო ბიულეტენი სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში უნდა მოათავსოს, რასაც შემდგომ, ხმის დათვლის სპეციალურ აპარატში მოათავსებს. მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი, ხმის დათვლის სპეციალური აპარატის საშუალებით, საარჩევნო ყუთში აღმოჩნდება, ამომრჩეველი სპეციალურ ჩარჩო-კონვერტს საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე დებს და საარჩევნო უბანს ტოვებს. დღის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ხმის მიცემა შეწყდება, ღილაკზე ერთი დაჭერის მეშვეობით, აპარატი მონიტორზე იმ შედეგებს აჩვენებს, რაც მთელი დღის მანძილზე, იმ საარჩევნო უბანზე მისულმა ამომრჩეველმა დააფიქსირა. ელექტრონული აპარატის საშუალებით დათვლის შემდეგ, ხმების დათვლის პროცესი ჩვეულებრივ, ხელით წარიმართება“.

„საკანონმდებლო მაცნეში“ ყველა შესაძლო ტექნიკური ხარვეზიც დეტალურადაა ახსნილი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხმის დამთვლელ აპარატს ტექნიკური პრობლემა აღმოაჩნდება ან ბიულეტენს არ მიიღებს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა შეაჩეროს ხმის მიცემის პროცესი და აცნობოს საოლქო კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა ხმის დათვლის სპეციალური აპარატით კენჭისყრის გაგრძელება, კომისია ადგენს აქტს, რათა კენჭისყრა აპარატის გამოყენების გარეშე გაგრძელდეს.

სხვათა შორის, საპილოტე ელექტრონული არჩევნები საქართველოში, წელს, პირველად არ ჩატარებულა. 2018 წელს – ცაიშის საარჩევნო ოლქში, ხოლო 2019 წელს – წყალტუბოსა და ტყიბულში ჩატარდა.

რაც შეეხება ხმის ელექტრონულ მთვლელებს, ე.წ. სკანერის აპარატებს, ეს აპარატურა ცესკო-ს საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკმა“ მიაწოდა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით, ელექტრონული ტექნოლოგიების წამყვანი კომპანიაა.

„ვერსია“ დაინტერესდა, რა დაუჯდა ცესკო-ს 31 საარჩევნო ოლქის ახალი აპარატურით აღჭურვა და საბოლოოდ, რა ოდენობის თანხა იქნება საჭირო, რათა სრულიად საქართველოს მასშტაბით, ყველა საარჩევნო ოლქსა და უბანზე დაინერგოს მსგავსი ტექნოლოგიური სიახლე. ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში „ვერსიას“ განუმარტეს, რომ ვინაიდან კრწანისის №4 საარჩევნო ოლქის 31-ვე უბანზე საპილოტე პროექტი განხორციელდა, ამჯერად, „სმარტმატიკმა“ საარჩევნო ადმინისტრაციას აპარატურა უფასოდ მიაწოდა. რაც შეეხება საბოლოო ხარჯებს, ცესკო-ში აგვიხსნეს, რომ ამის შესახებ ინფორმაციას ცენტრალური საარჩევნო კომისია მოგვიანებით გამოაქვეყნებს.

ელექტრონული ხმის მთვლელის უპირატესობები

თბილისის საკრებულოს წევრი პარტია „ქართული ოცნებიდან“, ლადო ბოჟაძე საარჩევნო კანონმდებლობასა და ტექნოლოგიებში საკმაოდ კარგადაა გარკვეული. „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ჩატარდება თუ არა არჩევნები სრულიად საქართველოს მასშტაბით იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც „სმარტმატიკმა“ კრწანისში შემოგვთავაზა, ეს გადაწყვეტილება საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს, ცხადია, პოლიტიკოსებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად:

„მართალია, ზუსტი ციფრები ჯერ არ გვაქვს, რა დაუჯდა ცესკო-ს ახალი ტექნოლოგიებით ხმის დათვლა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კენჭისყრის დასრულებისთანავე, მართლაც, ღილაკზე ხელის ერთი დაჭერით, შედეგები უკვე ცნობილია, ეს მართლაც ხარჯეფექტური მეთოდია. რაც მთავარია, ამ დროს მნიშვნელოვანია ნდობის ხარისხი და სისწრაფე, რადგან არჩევნების გამოცხადების დრო მუდმივი პრობლემაა და ოპოზიცია ყოველთვის ამით მანიპულირებს. იმ ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც კრწანისის საარჩევნო ოლქში განხორციელდა, მნიშვნელოვანია, რადგან ეს სისტემა ინტერნეტის გლობალურ ქსელთან მიერთებული არ ყოფილა და შესაბამისად, მასზე გარედან მანიპულირება – სისტემაში შეღწევა ან კიბერთავდასხმა, ფაქტობრივად, გამორიცხულია. თუმცა იმის გამო, რომ ეს საპილოტე პროექტი იყო, ელექტრონული მთვლელის შემდეგ, საარჩევნო ბიულეტენები ჩვეულებრივი წესით მაინც დაითვალეს. სხვათა შორის, თუ ამ ახალ ტექნოლოგიას სამომავლოდ დავნერგავთ, სკანერის აპარატებთან ერთად, შეგვიძლია, ხელითაც დავთვალოთ ბიულეტენები იმ უბნებში, სადაც საჩივრები იქნება“.

ლადო ბოჟაძემ აგვიხსნა, რომ ტექნოლოგია, რომელიც კრწანისის ოლქში შეირჩა, უსაფრთხოა, მაგრამ რაც მთავარია, მანქანა-სკანერი ხმებს უფრო სწრაფად, ადვილად და სამართლიანად ითვლის. მისი თქმით, იმის გამო, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მხოლოდ ერთი ბიულეტენი იქნება, რადგან მაჟორიტარული სისტემა გაუქმდა, ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდის:

„მეტიც, ოპოზიციის პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებაც არ ექნება არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით და ხმის დათვლის ელექტრონული ტექნოლოგია გამუდმებით რევოლუციისთვის მზადებასაც ავტომატურად გამორიცხავს. მოდით, რიცხვებს გადავხედოთ და 2012 წლით დავიწყოთ, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმა მისცა 800 000-ზე მეტმა ამომრჩეველმა, ხოლო „ქართულ ოცნებას“ – 1 100 000-ზე მეტმა. სხვა არჩევნების მონაცემებსაც დავანებოთ თავი და 2020 წლის არჩევნები გავიხსენოთ, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარი დაუჭირა 500 000-მა ამომრჩეველმა, ხოლო „ქართულ ოცნებას“ – 1 500 000-მა; 2021 წელს, „ქართულმა ოცნებამ“ აიღო 47%, მეორე ტურებში – 55%, ამ შემთხვევაშიც, დაახლოებით, 1 400 000-მა ადამიანმა დაუჭირა „ოცნებას“ მხარი ანუ პროცენტულად იმაზე მეტმა ამომრჩეველმა უთხრა უარი „ნაციონალურ მოძრაობას“, ვიდრე მანამდე. აქედან გამომდინარე, „ნაციონალური მოძრაობის“ ამოცანაა, რომ არჩევნები, როგორც დემოკრატიის გარანტი, როგორც ინსტიტუცია, როგორც ხელისუფლების წყარო, უბრალოდ, აღარ არსებობდეს იმიტომ, რომ ისინი, სწორედ მათი ცხრაწლიანი მოღვაწეობიდან გამომდინარე, არჩევნებში გამარჯვებას ვერასდროს მიაღწევენ! შესაბამისად, გამუდმებით საუბრობენ ე.წ. რევოლუციურ სცენარზე, არჩევნების გაყალბებაზე, მოსყიდვაზე, დაშინებაზე, როდემდე შეიძლება, შენი ქვეყნის ასიათასობით მოქალაქეს უწოდო გამყიდველი, მოღალატე, მშიშარა?! წარმოიდგინეთ, თურმე, ვიღაცას უნდოდა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემა, მაგრამ 5 კილოგრამი კარტოფილის გამო, გადაიფიქრა., რაც სრული აბსურდია! აქედან გამომდინარე, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ არჩევნები, როგორც ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალება, 2012 წლიდან არ მართლდება და ვპირდები, რომ კიდევ ბევრი წლის მანძილზე არ გამართლდება! სწორედ მათ და ზოგადად, ოპოზიციას არ აწყობს ასეთი ტიპის ტექნოლოგიების გამოყენება, რაც მაქსიმალურად ამცირებს ადამიანურ ფაქტორებს, რადგან მერე რას იზამენ, სკანერს დააბრალებენ გაყალბებას, კომპანია „სმარტმატიკს“, ჩარჩო-ფორმას, თუ ამომრჩეველს, რომელმაც საკუთარი არჩევანი გააფერადა?!“

მაკა რუხაძე

თაღლიღობით დაშვებული უზუსტობები და ხარვეზები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი სკანდალური დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო სექტორში არსებული ინვენტარიზაციის პროცესით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელსაც ამჯერად განვიხილავთ, 2019 წლის პერიოდს ეხება. ბოლო ათი წელია, „ვერსია“ რეგულარულად, თითქმის ყოველ ნომერში გთავაზობთ სახელმწიფო აუდიტის ანგარიშების დეტალურ განხილვას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სამინისტროს, უწყების, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა (სსიპ), თუ არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის (ააიპ) აქილევსის ქუსლია ინვენტარიზაცია – ხშირ შემთხვევაში, უხეში შეცდომებით ტარდება, ან უფრო უარესი – საერთოდ არ ტარდება! სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემები ფიქსირდება ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებში, სსიპ-ებსა და ააიპ-ებში.

რა არის ინვენტარიზაცია? – ესაა ფაქტობრივი და ბუღალტრული მონაცემების შედარების საშუალებით, ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების არსებობის შემოწმების მეთოდი. იმისთვის, რომ ორგანიზაცია (უწყება) ნაყოფიერად მართოთ და სწორი სტრატეგია შეიმუშაოთ, ზუსტად უნდა იცოდეთ, რა აქტივებს ფლობთ, რა მდგომარეობაშია ეს აქტივები და რა ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ საქმიანობის უდანაკარგოდ, უხარვეზოდ გასაგრძელებლად. შესაბამისად, როგორც მინიმუმ, წელიწადში ერთხელ, თქვენ აუცილებლად გჭირდებათ ორგანიზაციის ძირითადი საშუალებების, რესურსებისა და არამატერიალური აქტივების პროფესიონალური ინვენტარიზაცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საჯარო უწყებებში არაფინანსური აქტივებისა და საწყობის მართვის ნაკლოვანებებია. მეტიც, შემოწმებული ცხრა ორგანიზაციიდან, რვაში სრულყოფილად არ არის დანერგილი არაფინანსური აქტივების მართვის ელექტრონული პროგრამა:

„აქტივების შესახებ ინფორმაციები არასრულყოფილია; ინფორმაციის შეკრებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები არ განუსაზღვრავთ; ინფორმაციაზე წვდომისა და დაშვების პოლიტიკები არ შეუმუშავებიათ; არ არის დანერგილი ერთიანი მიდგომა არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ერთგვაროვან აქტივებთან დაკავშირებით, ორგანიზაციები აღრიცხავენ და წარადგენენ განსხვავებულ ინფორმაციებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის არსებული მიდგომები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს აქტივების შესახებ სრული და ოპერატიული ანგარიშების წარდგენას. იმის გამო, რომ არაფინანსური აქტივები და მათ შესახებ ინფორმაციები არ არის დაცული დაკარგვისა და დაზიანებისაგან, რთულდება სწრაფი, ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ინვენტარიზაციის განხორციელების პროცესი.

ნაკლოვანებები ინვენტარიზაციის პროცესში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფო კომპანიებში ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესზე საზედამხედველო კონტროლი არაეფექტურია, არ არის დადგენილი სახელმწიფო კომპანიების მიერ ზემდგომი ორგანოსთვის (პარტნიორისთვის) ინვენტარიზაციის მასალების, გამოუყენებელ და ჩამოსაწერ ქონებებზე ინფორმაციის წარდგენის ვადები. შედეგად, იზრდება აქტივების არაეკონომიურად, არამიზნობრივად და არაეფექტურად გამოყენების რისკი.

„ინვენტარიზაციის პროცესში შემოწმებული ცხრა ორგანიზაციიდან, 2019 წელს, ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ ხუთ ორგანიზაციაში! სამ ორგანიზაციაში საინვენტარო აღწერები ჩატარდა მანუალურად და არ არის გამოყენებული საინვენტარო აღწერის ელექტრონული საშუალებები, შტრიხ-კოდის წამკითხველები (სკანერები), რაც იწვევს ინვენტარიზაციის პროცესის დროში გაჭიანურებას, დამატებით ხარჯებს და შეცდომით, ან თაღლითობით დაშვებული უზუსტობის რისკებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ინვენტარიზაციის პროცესში ნორმატიული დოკუმენტით დადგენილი ფორმები ვერ პასუხობს ინვენტარიზაციით მისაღწევ მთავარ მიზნებს – ვერ უზრუნველყოფს აქტივების მდგომარეობის, მათი გამოყენების, შენახვის, გაუფასურების საკითხების შეფასებასა და დოკუმენტირებას, რასაც დახვეწა სჭირდება.

ხარვეზები სპეციფიკური აქტივების აღრიცხვაში

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შესწავლილი ცხრა ორგანიზაციიდან, ხუთი ფლობს და აკონტროლებს სპეციფიკურ აქტივებს, რომელთა აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის პროცესი რეგულირდება შიდა წესებით და ხარვეზებით ხასიათდება, ასეთი აქტივებია: საბიბლიოთეკო ფონდები; სამუზეუმო ფასეულობები; მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონებები; სახელმწიფო მიწები და შენობები; სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილები; სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან და იჯარით გაცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, მათ შორის, დარიცხული პირგასამტეხლოები. განვიხილოთ საბიბლიოთეკო ფონდები და სამუზეუმო ფასეულობები.

საბიბლიოთეკო ფონდები – აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ ელექტრონული მონაცემები არასრულყოფილია, ხოლო ინვენტარიზაციის პროცესში არ იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. შესაბამისად, საბიბლიოთეკო ფონდების შედგენის სამართლებრივ ბაზას განახლება სჭირდება. ამის გამო, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და მკითხველი მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს სრულყოფილი და ოპერატიული ინფორმაცია ფონდებში არსებული აქტივების, მათი მიღების, გასვლისა და გადაადგილების შესახებ.

„ეროვნული ბიბლიოთეკის ბუღალტრულ ანგარიშებში, საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ ინფორმაცია წარდგენილია სინთეზურად, ნაცვლად ანალიზურისა, ამიტომ ვერ ხერხდება აქტივების იდენტიფიცირება და შეუძლებლია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში, ინვენტარიზაციის პროცედურების დაგეგმვა და ჩატარება“.

მეტიც, აუდიტორების მტკიცებით, ვინაიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არის შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნებოდა არსებული ფონდების შესახებ ინფორმაცია, განუსაზღვრელია ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა და ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული აქტივების მოცულობა.

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა – აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ არ არის უზრუნველყოფილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და მართვის მოქნილი, ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რაც ხელს უშლის სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვასა და პოპულარიზაციას. მეტიც, ამის გამო რთულდება ინვენტარიზაციის პროცესი და იზრდება სამუზეუმო ფასეულობათა დაკარგვისა და უკანონოდ გამოყენების რისკები.

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ სამხატვრო აკადემიაში, საინვენტარო წიგნებში აღწერილია და ინფორმაცია დამუშავებულია მხოლოდ 625 ექსპონატის შესახებ. შედეგად, აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სამხატვრო აკადემია სრულად არ ფლობს ინფორმაციას მის საკუთრებაში არსებული ექსპონატების შესახებ, რაც ზრდის მათი დაკარგვის ან უკანონო გამოყენების რისკებს.

ხარვეზები ბუღალტრულ აღრიცხვაში

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის ბალანსზე ირიცხება მშენებლობები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომელთა ბალანსიდან ჩამოწერა და შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სახელმწიფო მიწებისა და შენობების აღრიცხვა ქონების ეროვნულ სააგენტოში არ ხორციელდება, შესაბამისად, აღნიშნულ ქონებებს არ უტარდებათ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ინვენტარიზაცია.

აქედან გამომდინარე, აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფოს ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სამართლიან წარდგენას, ვინაიდან არსებითი ოდენობის აქტივსა და ვალდებულებას ზუსტი და დროული აღრიცხვა სჭირდება.

სამართალი

№40 3 ნოემბერი 2021 წ

სქემა, რომლითაც „შავი სამყარო“ არჩევნებში მონაწილეობს

ვინ აძლევს „შპანას“ საარჩევნო დავალებებს და რატომ აღარ ეშინია ელექტორატს „კაი ბიჭების“

ბათო ჯაფარიძე

როცა ქართულ პოლიტიკაში ჯაბა იოსელიანი გამოჩნდა, მაშინვე ატყდა ხმაური, რადგან, როგორც წესი, ე.წ. კანონიერი ქურდები არჩევნებში არ ერეოდნენ და ის, რომ თავის დროზე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ჯაბა ერთ-ერთი, ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდი იყო, ყველამ იცოდა, თუმცა მაშინ იოსელიანს ვერავინ გაუბედა ვერც პრეტენზიის წაყენება და ვერც ის, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი არაქურდად გამოეცხადებინათ. ზოგადად, იოსელიანი ცალკე ფენომენი გახლდათ, რომელიც, ალბათ, აღარასდროს განმეორდება, რადგან „ძველი გაგებით“, ქურდი აღარ არსებობს. ამ ფენამ ცვლილება განიცადა, შეიცვალა და უფრო სიცილიის მაფიოზურ დაჯგუფებას დაემსგავსა, სადაც არც პირადი დაცვის ესკორტი „ტეხავს“, არც – ბიზნესი და არც – ბევრი სხვა რამ.

იყო პერიოდი, როცა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებისა თუ გამგებლების ვინაობას, სწორედ „კანონიერ ქურდებს“ უთანხმებდნენ. ჰო, ედუარდ შევარდნაძის დროს, საქართველოში ჩამოსულ კრიმინალურ ავტორიტეტებს აეროპორტში მინისტრები და მათი მოადგილეები ხვდებოდნენ, „კანონიერ ქურდთან“ მეგობრობა მათთვისაც კი საპატიოდ ითვლებოდა და ეს მაშინ, როცა დღეის მდგომარეობით, ქურდები საქართველოში ვეღარ ჩამოდიან – მათ კანონი სდევნით და ოფიციალურად, არცერთი „კანონიერი ქურდი“ საქართველოში არ ცხოვრობს. ეს ოფიციალურად, თორემ წინა და მოქმედი ხელისუფლების დროსაც, არაერთხელ ითქვა, რომ კონკრეტული პირი, რომელიც სტატუსის მატარებელი იყო, მალულად ჩამოვიდა. ხელისუფლებებს ეს სჭირდებოდათ – ქურდებს კონკრეტულ მიმართულებებს ალაგებინებდნენ და უკან უშვებდნენ, თუმცა მერე და მერე, ყველაფერმა ამან უცნაური ხასიათი მიიღო და საარჩევნო უბნებთან „კაი ბიჭები“ მომრავლდნენ.

ქურდების არ იყოს, „შავი სამყაროს კარაბადინი“ არჩევნებში მონაწილეობას „კაი ბიჭებსაც“ უკრძალავს, მაგრამ საკმარისია, მათ „კანონიერმა ქურდმა“ უთხრას, რომ ყველაფერი ეს „ქურდულს“ სჭირდება და ისინი ყველაფერზე არიან წამსვლელები.

და მაინც, ვინ არიან ადამიანები, რომლებიც რიგით ამომრჩევლებსა და ნეიტრალურ ადამიანებში გაღიზიანებას იწვევენ და რატომ სჭარბობენ მათ შორის ისეთებიც, რომლებზეც ნაცნობი თუ უცნობი ამბობს, თავის დროზე ნარკომანობისთვისაა ნასამართლევიო?!

დავიწყოთ იმით, რომ სამწუხაროდ, ყოფილი ნარკომანი ძალიან ცოტაა. მომაკვდინებელ შხამზე „შემჯდარი“ ადამიანები ძნელად ახერხებენ ამ მარწუხებისგან თავის დახსნას და თუ მუდმივი მომხმარებლები არ არიან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, შიგადაშიგ, უარს არ ამბობს ნარკოტიკის მიღებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავთა სამიზნე ხდება.

პოლიციამ ყველა მომხმარებელი რომ აიყვანოს, ციხეები, უბრალოდ, გაივსება და ზუსტად იგივე სიტუაცია იქნება, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს იყო, თუმცა მათ დროსაც კი, ყველა მომხმარებელი ციხეში არ იჯდა და ჰქონდა ვალდებულება, არჩევნების დროს, ხელისუფლებას დახმარებოდა – უბანში თავისი სიტყვა ეთქვა და თუ ავტორიტეტით ვერ გაიტანდა, დაეშინებინა, მოესყიდა ამომრჩევლები და აეძულებინა, უბანზე მისულიყვნენ.

„კაი ბიჭები“ თავად თუ არ მიდიან ხმის მისაცემად, ამის გაკეთებას ოჯახის წევრებს, მეგობრებს აიძულებენ. სწორედ რომ აიძულებენ, რადგან „კანონიერ ქურდებთან“ აქტიურობის ვალდებულება აქვთ აღებული და თუ ოჯახმა არ იაქტიურა, სხვა ხომ საერთოდ არაფერს დაუჯერებს, თუმცა...

იმავე „ქურდული კანონებით“, „კაი ბიჭობის“ გზაზე შემდგარ და „კანონიერი ქურდობის“ მოსურნეს ოჯახი არ ჰყავს, მისი ოჯახი ქურდული სამყაროა ანუ მას არ ჰყავს დედა, მამა, და, ძმა... თუმცა ეს შეზღუდვა, როგორც ჩანს, არჩევნების დროს იხსნება, რადგან ასე სურს კრიმინალური სამყაროს უმაღლესი იერარქიის წარმომადგენელს. საინტერესო ის გახლავთ, რას იღებენ სანაცვლოდ ე.წ. შავი სამყაროს წევრები წინასაარჩევნო აქტიურობისთვის?

რამდენიც უნდა უარყოს მოქმედმა თუ წინა ხელისუფლებამ, მაინც ვიტყვით: პირველ რიგში, მათთან მიდის „ჯიგრული გრევი“ – ღვინო, სამწვადე, რაც დაახლოებით, 10 კაცისთვისაა საკმაარისი, კონკრეტული პიროვნება იღებს თანხას – 2-დან 10 ათასამდე და რიგ შემთხვევებში, თანხა შეიძლება მეტიც იყოს (მაგრამ, არა ნაკლები, რადგან ნაკლებობის შემთხვევაში, გამოდის, რომ დაბალი „კალიბრის“ კრიმინალია და მასთან საქმის დაჭერა არ ღირს).

შემდეგ, ეს თანხის ამღები „კაი ბიჭებისთვის“ ყიდულობს ჩაის, სიგარეტს, ცოტა „მაყუთს“ აძლევს „სადვიჟენიოდ“ და თავად არ ჩანს. „კაი ბიჭების“ კასტაც ქვედა რგოლს ანუ ე.წ. შპანას აძლევს დავალებას, იმ „სადვიჟენიო“ ფულიდან უნაწილებს სიგარეტის ფულს (საუკეთესო შემთხვევაში) და „შპანაც“ „დვიჟენიობს“, საარჩევნო ყუთებთან ჩნდებიან ახალგაზრდები დაყენებული „პახოდკითა“ და მზერით, რითაც ყველას აგრძნობინებენ, რომ ისინი „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენლები არიან, მაგრამ არ ტოვებენ სერიოზული „პრისტუპნიკების“ შთაბეჭდილებას. ამას ვერც მოახერხებენ, რადგან „შპანა“ ყოველთვის „შპანად“ რჩება და შიშისა თუ რიდის ნაცვლად, გაღიზიანებას იწვევს.

შესაბამისად, გამოდის, რომ ბოლო, უკანასკნელი რგოლი აქტიურობს წინასაარჩევნოდ და მან იცის, რომ „კანონიერი ქურდის“ დავალებას ასრულებს, მაგრამ რეალურად, არც იმ ქურდს იცნობს, არც იმას, ვისაც ქურდმა დავალება მისცა და იცნობს მხოლოდ იმას, ვინც უბანში, ასე თუ ისე, ავტორიტეტით სარგებლობს და „პუტიოვია“ ანუ ქურდობა უნდა.

ჰო, თავის დროზე, ქურდობა ნახევარ საქართველოს უნდოდა და საბედნიეროდ, 98%-ს ეს სურვილი სურვილადვე დარჩა. ახლა ამ ადამიანების რიცხვი შემცირებულია, მაგრამ მაინც არის და სწორედ მათზეა დამოკიდებულ-ჩამოკიდებული „შპანა“.

სამწუხაროდ, დიდი ქალაქებისგან განსხვავებით, ბევრად რთული სიტუაციაა რეგიონებში, განსაკუთრებით კი – დასავლეთ საქართველოში, სადაც „ობშჩიაკსაც“ კი აგროვებენ ახლაგაზრდები, რათა შემდეგ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქურდებს გაუგზავნონ და მათ კი, თავის მხრივ, „საერთო“ შეავსონ, თუმცა შინაგანად მაინც ყველამ იცის, რომ ეს ფული კონკრეტული პირების კეთილდღეობასა და ევროპაში ფუფუნებით ცხოვრებას ხმარდება.

ხმამაღლა ამას ვერავინ იტყვის, რადგან „კაი ბიჭობა“ არ აპატიებს და ასე, ჯადოსნურ წრეზე ტრიალებს ეს თემა, თუმცა ისევ არჩევნებს დავუბრუნდეთ.

არჩევნების დღეს, სწორედ ამ ხალხს მიჰყავს ამომრჩეველთა ნაწილი უბანზე, მაგრამ რაც დრო გადის, ამ ხალხის რაოდენობა იკლებს. ეს იმიტომ, რომ მათ მიერ მიყვანილი ადამიანები მითითებულ ნომერს არ ხაზავენ, რადგან პროტესტის გრძნობა უჩნდებათ. პროტესტის გრძნობა უჩნდება პენსიონერს, როცა შვილიშვილი სთხოვს, მეზობელმა მთხოვა, არჩევნებზე შენი ბაბუა ან ბებია მივიდესო და სწორედ ამ ბაბუამ და ბებიამ იციან, რომ ის მეზობელი „წმინდა წყლის“ არ არის და ამიტომ, საპირისპიროს აკეთებს.

მეორე ტურში საქმეში ბევრად მძიმე არტილერია ჩართეს, თუმცა ვაღიაროთ – მოგება მაინც გაჭირდა. რაც მთავარია, არავინ ელოდა პირველ ტურში ქუთაისში მარცხს და ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებას, პარტიისა, რომელმაც „კანონიერი ქურდების“ სახლებში პოლიციის შენობები გახსნა. ამბობენ, ქუთაისში, მეორე ტურში გარდატეხა, სწორედ „შავმა სამყარომ“ შეიტანაო...

ერთი მხრივ, ძალიან კარგია, რომ არჩევნებზე ქალაქებსა თუ სოფლებში „შავი სამყაროს“ გავლენა სუსტდება, მაგრამ მეორე მხრივ, თითქოს ტრადიციად იქცა, სწორედ წინასაარჩევნოდ უნდა გამოჩნდეს ეს „შპანა“, რომელიც აგრესიას იწვევს ნებისმიერ მომხრესა თუ მოწინააღმდეგეში.

სხვათა შორის, ის ე.წ. კანონიერი ქურდები, რომლებიც მოახერხებენ კონკრეტულ ქალაქებში მოგება მიიწერონ, პრივილეგირებულნი იქნებიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ოჯახის წევრის გაბედნიერების ან გარდაცვალების შემთხვევაში, 2-3 დღით, საქართველოში მალულად ჩამოსვლის უფლება ექნებათ.

ბათო ჯაფარიძე

ფარული ჩანაწერები, რომლებშიც შაქრო კალაშოვი ფიგურირებს

ევროპელი პარლამენტარები ხშირად გვიკიჟინებენ, სასამართლო სისტემა დახვეწეთ, რეფორმები გაატარეთ, სხვაგვარად არაფერი გეშველებათო. რა თქმა უნდა, სასამართლო სისტემის გამართული მუშაობა აუცილებელია, მით უმეტეს, ქართულ სინამდვილეში, მაგრამ...

რა ავანტურაზე მიდის კალაშოვის ადვოკატი

ესპანური მედიის ცნობით, პირენეის ნახევარკუნძულზე ახალი გამოძიება დაიწყო, რომელიც დიდი ოდენობით ქრთამის აღების საქმეს ეხება.

ესპანელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ გამოძიებას ხელთ აქვს ჩანაწერი, რომელშიც ისმის შაქრო კალაშოვის ადვოკატისა და ერთ-ერთი კატალონიელი მოსამართლის ხმები.

კალაშოვის ადვოკატი მოსამართლეს, მისი კლიენტისთვის მსუბუქი სასჯელის შეფარდების სანაცვლოდ, ცარიელ ჩეკს აძლევს და თანხის დაწერას სთხოვს. ის იქვე ამბობს, რომ თანხა, შესაძლოა, რვაციფრიანიც იყოს და კალაშოვი გადამხდელია.

ერთი შეხედვით, ქრთამის აღების ფაქტის უკან, შესაძლოა, ბევრად დიდი რამ იმალებოდეს. კალაშოვის ადვოკატმა უკვე განაცხადა, რომ ამ საქმის გამოსაძიებლად, ესპანეთმა მისი კლიენტის ექსტრადირება უნდა მოახდინოს და ის რუსული ციხიდან ესპანურში გადაიყვანოს. არადა, რუსეთში კალაშოვს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, ქრთამის მიცემის ფაქტზე კი ესპანეთში, მაქსიმუმ, 3-4 წელს მისცემენ და იმასაც სრულად არ მოახდევინებენ.

ჰოდა, ვარაუდი იმის შესახებ, რომ ყველაფერი ეს შეგნებულად კეთდება და რეალურად, ადვოკატები კალაშოვის რუსული ციხიდან დახსნას ცდილობენ, უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

ბათო ჯაფარიძე

როგორ სპეკულირებს ოპოზიცია ციხეებში გახსნილი სპეცუბნებით

არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ, ოპოზიცია აქცენტს იმაზეც აკეთებდა, რომ ხელისუფლებამ შედეგები ე.წ. სპეცუბნებზეც გააყალბა და ციხიდან მისთვის სასურველი მონაცემები გამოიტანა. აღნიშნული განცხადება ოპოზიციის მომხრეებმაც აიტაცეს, ვიღაცამ ისიც თქვა, ჩემს ნათესავ პატიმარს აიძულეს, 41 შემოეხაზაო, მაგრამ თემას დეტალურად თუ გავშლით, მივხვდებით, რომ პატიმარი არაფერ შუაშია და მას ვერავინ ვერაფერს აიძლებს, მით უმეტეს, ვერ შეუზღუდავს ან დააძალებს არჩევანის გაკეთებას. როგორც ჩანს, ამ თემის დეტალები ოპოზიციური ტელევიზიების ხელმძღვანელებმაც გაარკვიეს და აღარ ამბობენ, სპეცუბნებზე პატიმრების ხელების გადაგრეხვით გამოიტანეს შედეგებიო.

რუსთავის მაგალითზე ვთქვათ, რადგან მთავარი აქცენტი და დარტყმა, სწორედ რუსთავსა და ქუთაისზე კეთდებოდა. რატომ ამ ორ ქალაქზე? პასუხი მარტივია – სწორედ რუსთავსა და ქუთაისშია სასჯელაღსრულების ყველაზე მეტი დაწესებულება, სადაც მთლიანობაში, სასჯელს 4 ათასზე მეტი პატიმარი იხდის. კიდევ გავიმეორებთ, არჩევნების დღეს, პატიმარს ვერაფერს დააძალებენ, რადგან მას არჩევანის გაკეთების უფლება, უბრალოდ, არ აქვს! საარჩევნო ყუთები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იქ მომუშავე პერსონალისთვის შეიტანეს ანუ მათ ისეთი საპასუხისმგებლო სამსახური აქვთ, ვერ დატოვებდნენ ტერიტორიას, ვერ მივიდოდნენ უბანზე, ვერ მისცემდნენ ხმას და ვერ დაბრუნდებოდნენ უკან. ამას ვერ გააკეთებდა ვერც ბადრაგი, ვერც – ციხეების ზედამხედველობის სამსახური, ვერც – შიდა დანიშნულების სპეციალური რაზმის წევრი, ვერც მზარეული და ექიმი. მაგალითად, რუსთავში ასეთი, 3 სპეცუბანი იყო, სადაც საერთო ჯამში, 17 ხმა დავით კირკიტაძემ აიღო, 176 კი – ნინო ლაცაბიძემ.

შესაძლოა, ხმებში სხვაობა ვინმეს ეხამუშოს, მაგრამ სამ უბანზე გადანაწილებით, ბევრი ნამდვილად არ არის და ეს უბნები რომც არ ყოფილიყო, არჩევნების მეორე ტურის საბოლოო შედეგზე გავლენა მაინც არ ექნებოდა. იმ ადამიანებს კი, რომლებიც ზეწოლაზე საუბრობენ, უბრალოდ, ვკითხავ – ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნის პერიოდში, ოპოზიციას სპეცუბნებიდან რამდენი ხმა გამოჰქონდა, თუ იცით? თუ არადა, გადახედეთ ძველ ოქმებს და ნახავთ, რომ 2010 წლამდე, სპეცუბნებიდან ოპოზიციას ერთი ხმაც კი არასდროს მიუღია!

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც გერი და მისი ყოფილი შეყვარებული მოკლა

ბათო ჯაფარიძე

შურისძიების სურვილი ის გრძნობაა, რომელიც, შესაძლოა, ათეული წლები გაგყვეს და ელოდო მომენტს, როცა შეძლებ, შური იძიო. შურისმაძიებლები ხშირად სასტიკები არიან, იმაზე სასტიკებიც, ვიდრე თავად შეუძლიათ წარმოდგენა და ყველაფერი ეს წლების განმავლობაში დაგროვილი ბრაზის გამო ხდება. არცთუ იშვიათად, საქართველოს მთაში ყოფილა შემთხვევა, როცა შური ათი და ოცი წლის მერეც კი იძიეს – სისხლი აიღეს, თუმცა შემთხვევას, რომელზეც ახლა გიამბობთ, სისხლის აღებასთან კავშირი არ აქვს. არადა, პირველ ეტაპზე, გამოძიების მთავარი ვერსია სწორედ ეს იყო.

80-იანი წლების დასაწყისში, ჯანდარის ტბის მიმდებარედ, მეთევზეებმა ახალგაზრდა კაცის გვამი იპოვეს. გარდაცვლილს სხეულზე ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები ეტყობოდა და ისე ჩანდა, სანაპიროზე, მაქსიმუმ, ერთი ღამე გაატარა. ადგილზე მისულმა ექსპერტმაც თქვა, 24 საათზე მეტი არ იქნება გასული გარდაცვალებიდანო. თითის ანაბეჭდების შესწავლის შემდეგ კი გაარკვიეს, რომ გარდაცვლილი მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს, სამი დღის წინ გათავისუფლდა და ვიღაცამ სასტიკად მოკლა.

„აღნიშნული პიროვნება სასჯელს ყოფილი შეყვარებულის მკვლელობისთვის იხდიდა. სასამართლომ მას 10 წელი მიუსაჯა, იყო აღიარებითი ჩვენებაც ანუ მისთვის არავის არაფერი დაუძალებია. სასამართლოზე ტიროდა კიდეც, ნასვამი ვიყავი და ეჭვიანობის ნიადაგზე შემომაკვდა, ალბათ, დეტალები არ მახსოვსო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

წყვილს ერთმანეთი წლების მანძილზე უყვარდა, სწორედ ჯანდარის ტბაზე დადიოდნენ ხოლმე დასასვენებლად და სწორედ ამ ტბაზე გაიცნო გოგომ ადგილობრივი მცხოვრები. მოგეხსენებათ, ადრე ჯანდარის ტბის მიმდებარედ, პატიმართა ჩასახლება იყო ანუ იმ ადამიანებისა, რომლებიც არცთუ საშიშები არიან, რომ ციხეში ისხდნენ და არცთუ უსაფრთხონი, თავისუფლად რომ იარონ. ამიტომ, ჩასახლებაში ცხოვრობდნენ „თავისუფლად“ და თან – მკაცრი კონტროლით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ოჯახის შვილი იყო ბიჭი, რომელიც გოგოს მოეწონა, შეუყვარდა და ძველ შეყვარებულს დაშორდა. ათი წლის წინ, ახალი შეყვარებულის დაბადების დღეზე მყოფი გოგო სუფრიდან ადგა, ეზოში გავიდა და გაქრა. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, ის ტბის სანაპიროზე იპოვეს. მკვლელობაში გასამართლებული, მის წინ მუხლებზე იყო დაჩოქილი და ისეთი მთვრალი გახლდათ, ვერ ლაპარაკობდა. მას ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი და მკვლელობის აღიარების მიუხედავად, სამართალდამცავებმა დანა ვერ იპოვეს. გამოძიებამ ჩათვალა, რომ ბიჭმა დანა ტბაში გადააგდო და ლამში ჩაიძირა.

რაღა თქმა უნდა, გაჩნდა ვერსიაა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბიჭი გოგოს ყოფილმა შეყვარებულმა იპოვა, მკვლელობის ადგილზე მიიყვანა და მოკლა. სამართალდამცავებმა მისი ძებნა დაიწყეს და მალე იპოვეს. მას თვალი დალურჯებული და ტუჩი გახეთქილი ჰქონდა. გამომძიებლებს მაშინვე გაახსენდათ, რომ მოკლულ ბიჭს მუშტებზე ბრძოლის კვალი ეტყობოდა და კანის ფრაგმენტებიც ჰქონდა შერჩენილი. ანალიზმა დაადასტურა – გარდაცვლილის ხელზე აღებული კანისა და სისხლის ფრაგმენტი, სწორედ გარდაცვლილი გოგონას შეყვარებულის იყო. ის დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

„ტბის ნაპირზე ვიყავი, როცა ის დავინახე, ჩემი ყოფილი შეყვარებულის მკვლელი. მან ვერ მიცნო, მე კი მაშინვე მივხვდი, ვინ იყო და ცემა დავუწყე. კარგა ხანს ვიჩხუბეთ, ყვიროდა – მომისმინე, მომისმინეო. მოვუსმინე და მითხრა, ციხეში მივხვდი, რომ გოგო მე არ მომიკლავს, ისიც კი აღვიდგინე, რომ მთვრალი მოვედი შენს სახლთან, გოგონა რომ გარეთ გამოვიდა, ვიღაც კაცმა დაუძახა, სანაპიროსკენ წაიყვანა და მოკლა, მაგრამ იმ კაცის მხოლოდ სილუეტი მახსოვს და ამ ადგილზეც იმიტომ მოვედი, რომ ყველაფერი აღმედგინა, მაგრამ ვერაფერს ვახერხებო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე, იქ დავტოვე და სახლში წავედი. მე რომ დავტოვე, ცოცხალი იყო და დამიჯერეთ, არ მოვკლავდი. ცოლი და სამი შვილი მყავს, ოჯახს ძლივს ვარჩენ და ჩემს გარეშე, შიმშილით მოკვდებიან, ციხეში იმ ნაძირალას გამო მართლა არ წავიდოდიო“, – ეს იყო, რაც დაკავებულმა თქვა.

„თავიდან ყველაფრის დაჯერება გამიჭირდა, მაგრამ მერე გამახსენდა ჩემი კოლეგის სიტყვები, რომელმაც გოგოს მკვლელობა გამოიძია. ის ამბობდა, დანა გოგოს მარცხენა ხელით აქვს დარტყმული, ეს ბიჭი კიდევ ცაცია არ არის და, მით უმეტეს, მთვრალზე, მარცხენა ხელით ასეთ ზუსტ და ძლიერ დარტყმას ვერ განახორციელებდაო, თუმცა მაშინ გამოძიებას არც სხვა ეჭვმიტანილი ჰყავდა, არც სხვა ვერსია ჰქონდა და რაც მთავარია, მაშინ მკვლელმა ყველაფერი აღიარა. ამიტომ, ძველი საქმე არქივიდან გამოვითხოვე და ყურადღებით ჩავუჯექი“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

გარდა იმისა, რომ პირველ საქმეში ბევრი შეუსაბამობა აღმოჩნდა, ექსპერტმა ისიც დაასკვნა, რომ გოგონაც და ბიჭიც ერთი და იგივე დანით მოკლეს და რაც მთავარია, ორივე შემთხვევაში, მკვლელი ცაცია იყო ანუ როცა გარდაცვლილი ამტკიცებდა, რაღაცები აღვიდგინე და მე არ მომიკლავსო, მართალი იყო, თანაც თუ გოგონა მან მოკლა, ვერ მოახერხებდა, საკუთარი თავიც ზუსტად ისე მოეკლა, იგივე დანით, თან მარცხენა ხელით. ოჯახის წევრებიდან გარდაცვლილს მხოლოდ მამინაცვალი დარჩა. დედისერთა იყო, დედა ციხეში ყოფნის დროს მოუკვდა და შერჩა მამინაცვალი, რომელსაც გამომძიებლებმა შინ მიაკითხეს.

„დედამისი ამაზე ნერვიულობას გადაჰყვა – გულმა ვეღარ გაუძლო. გათავისუფლების შემდეგ შინ მოვიდა, რაღაც სისულელეები იბოდიალა, მკვლელის სილუეტი აღვიდგინეო, იმ ადგილზე უნდა წავიდე, ყველაფერი რომ გამახსენდესო. მე ერთი კვირაა, წელი მტკივა, სამსახურიდანაც კი დავეთხოვე ამის გამო, ოთახიდან ოთახში გასვლაც მიჭირს. ამიტომ ვთქვი უარი მის შინ გადმოსვენებაზე, პირდაპირ მორგიდან დაასაფლავონ, მე წინააღმდეგი არ ვარ“, – თქვა მამინაცვალმა.

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე იყო, საავადმყოფოში დაადასტურეს, რომ კაცს წელი ხშირად სტკიოდა და ამის ნიადაგზე, არაერთხელ გათავისუფლებულა სამსახურიდან. ახლაც, გერის გამოსვლამდე 3 დღით ადრე, სასწრაფო დახმარების ექიმი გამოიძახა ძლიერი ტკივილის გამო და ბიულეტენზე იმყოფებოდა, თუმცა სახლიდან გამოსვლის დროს, გამომძიებლებმა ფეხსაცმელი შენიშნეს, რომელსაც ტალახი გვარიანად ჰქონდა შერჩენილი, გარეთ კი გადასარევი ამინდი იდგა. სამართალდამცავმა იმდენი ქნა, რომ სწორედ იმ ფეხსაცმელთან ჩაიმუხლა, ტალახის ნაწილი ცხვირსახოცში გაახვია და ექსპერტიზაზე წაიღო. ექსპერტის პასუხმაც არ დააყოვნა – ტალახი ახალი გახლდათ და ის შემადგენლობა ჰქონდა, როგორიც ტბების (და არა ზღვის) სანაპიროზეა. ასე გახდა მამინაცვალი მთავარი ეჭვმიტანილი და მისი გარემოცვის შესწავლაც დაიწყო. კაცი ცუდად არავინ დაახასიათა არც – სამსახურში, არც – სამეზობლოში და ის იყო, ამ წამოწყებაზე ხელი უნდა ჩაექნიათ, როცა ერთ-ერთმა მეზობლემა თქვა, ეგ კაცი ადრე რაიონში ცხოვრობდა და იქიდან იმის გამო გამოაგდეს, რომ მეზობლის ახალგაზრდა გოგოს, სკოლის მოსწავლეს სიყვარულს ეფიცებოდა და ლამის შეაცდინაო. ეს რაღაც ახალი იყო, სოფელში მაშინვე იპოვეს ოჯახი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მეზობლის კაცმა მათი მცირეწლოვანი შვილის შეცდენა სცადა და სოფლიდან ამიტომ გააძევეს. რაც ყველაზე საინტერესოა, მას ცოლი არ გაჰყვა, ასეთ კაცთან როგორ ვიცხოვრო, რომელიც ბავშვებზე იწევსო. შემდეგ, ქალაქში, მოკლული ბიჭის დედას შეხვდა, მათთან დასახლდა და ახლა ბინის ერთადერთი მემკვიდრე იყო – იმ ბინისა, რომელიც დედა-შვილს ეკუთვნოდა. იყო თუ არა ბინა მიზეზი, რომ კაცს მკვლელობა ჩაედინა, გამომძიებლებმა არ იცოდნენ და რაც მთავარია, ტალახიანი ფეხსაცმლის გარდა, სხვა სამხილი არ ჰქონდათ. მხოლოდ ამის გამო კი ციხეში არავინ გაუშვებდა.

გამომძიებლებმა მეზობლები კიდევ ერთხელ დაკითხეს და აინტერესებდათ, რამე უცნაური ხომ არ ნახეს ბოლო დღეებში. ერთ-ერთმა მეზობელმა განაცხადა, ამას წინათ დავინახე, ავტოფარეხის წინ, ბარით ორმო ამოთხარა და მერე ისევ ამოავსო, ვერ მივხვდი, რატომ გააკეთაო. მოწმეების თანდასწრებით, ავტოფარეხის წინ მიწა სამართალდამცავებმაც ამოთხარეს და... იქიდან სისხლიანი დანა ამოიღეს.

„ეს უკვე სამხილი კი არა, გახსნილი საქმე იყო. მამინაცვალი დავაკავეთ და არა მარტო გერის, არამედ, 10 წლის წინ, გოგონას მკვლელობის ბრალდებაც წავუყენეთ, თან სამხილების გარდა, მთავარი კოზირიც ხელში გვეჭირა – მამინაცვალი ცაცია იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„ათი წლის წინ, გერთან ერთად, სახლში ვსვამდი, როცა აიტეხა, გინდა თუ არა, ჩემი შეყვარებული უნდა ვნახოო და აქ წამოვედით. გზაში კიდევ დაამატა, არყის ბოთლი ხელიდან არ გაუშვია. სახლთან მე მივედი და ბედად, გოგო გარეთ გამოვიდა, ჩეჩმა გარეთ ჰქონდათ და სავარაუდოდ, იქ მიდიოდა. დავუძახე, მოვიდა, მიცნო და ვუთხარი, აქ არის, მთვრალია და იქნებ, დაამშვიდო, თორემ სახლში შემოვა, შარს გადაგყრის-მეთქი. წამომყვა და ტბის სანაპიროზე გავედით. გერს არაყი ბოლომდე ჰქონდა ჩაცლილი და ვეღარც აზროვნებდა. არ ვიცი, რა დამემართა, ტბის ნაპირი, ღამე, ახალგაზრდა გოგო... გავიწიე და მან ხელი მკრა. მერე ყველაფერი წამებში მოხდა, დანა რატომ დავარტყი, ვერ ვხვდები, ალბათ, შემეშინდა. მთვრალი გერი გვამთან დავტოვე და წამოვედი. ყველაფერი ჩემთვის კარგად დასრულდა, მაგრამ ციხიდან გამოსულმა გერმა მითხრა, ტბაზე წამყევი, რაღაცები უნდა აღვიდგინოო. წავყევი, ნერვიულობაზე ფაღარათი დამემართა და მოშორებით გავედი. იქიდან დავინახე, როგორ იჩხუბა ვიღაც ბიჭთან, მერე გამოვედი და პირდაპირ ხელი დამადო, ჩემი შეყვარებული შენ მოკალიო. დანა მასაც დავარტყი და ადგილზე დავტოვე. სულ ეს იყო“, – აღიარა მამინაცვალმა.

წესითა და რიგით, სასამართლოს მისთვის დახვრეტის მუხლი უნდა გამოეტანა, მაგრამ... 15 წელი აკმარა.

პოლიციამ ახვლედიანის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ვ.ც., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვ.ც.-მ, მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, ღამით, ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა თბილისში, გ.ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე მასაჟის ერთ-ერთ სალონში დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე – ტრანსგენდერ ქალს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდებულმა იმავე სალონში მყოფ კიდევ ერთ ტრანსგენდერ ქალს სხეულზე დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, ვ.ც. თბილისში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში, ისნის 62-ე საარჩევნო უბანში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ისნის 62-ე საარჩევნო უბანში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყეს, რაც საარჩევნო უბნის მიმდებარედ ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

ისნის 62-ე საარჩევნო უბანში, სადაც შეკრებილები იყვნენ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერები, თბილისის მერობის კანდიდატი ნიკანორ მელია, მხარდამჭერებსა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ერთად მივიდა. ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ წარმომადგენლები და მხარდამჭერები.

საარჩევნო უბანში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება, რა დროსაც, ამ დრომდე დაუდგენელმა პირმა ნიკანორ მელიას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

არჩევნების მეორე ტურზე გამოვლენილი კანონდარღვევები – შსს-ს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა, ქეთევან კოვზიაშვილმა ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ 30 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურის დროს, პოლიციის მობილური ჯგუფები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაადგილდებოდნენ და მყისიერ რეაგირებას ახდენდნენ პოლიციის კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა ფაქტზე. ასევე, სამინისტრო მჭიდრო კოორდინაციაში იყო საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.

თბილისში, ვაზისუბანში მდებარე ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მომხდარი ბოლო ინციდენტის შესახებ ინფორმაციით, პოლიცია შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტარდება ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა სიტუაცია განიმუხტოს და მშვიდ გარემოში გაგრძელდეს საარჩევნო პროცესი.

ამ დროისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიება დაწყებული აქვს სავარაუდო დანაშაულის 8 ფაქტზე, ბრალდებულის სახით დაკავებულია ერთი პირი. კერძოდ:

ქარელის N2 საარჩევნო უბანში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ტელეკომპანია „მონიტორინგის“ ჟურნალისტს. მომხდარ ფაქტზე შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქარელის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და კენჭისყრის შენობაში ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 162-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. პოლიციის მიერ, ბრალდებულის სახით დაკავებულია 1972 წელს დაბადებული გ.კ.;

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში. გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ ფოთში, N12-ე საარჩევნო უბანში, ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტს წაართვეს მიკროფონის ატრიბუტი, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნდა. ჟურნალისტის გადმოცემით, აღნიშნული დაპირისპირებისას, მან მსუბუქი დაზიანებები მიიღო. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს;

სენაკის რაიონულ სამმართველოში, „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო მუქარის ფაქტზე. კანდიდატის განმარტებით, მას მოქალაქემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს;

აჭარის პოლიციამ სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო. გამოძიებისთვის ამ ეტაპზე, ჟურნალისტების მიერ მიწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გონიოში, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე, ტელეკომპანიების – „მთავარისა“ და „ფორმულას“ ჟურნალისტებთან სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ, აქტივისტებმა ტელეკომპანია „ფორმულას“ კუთვნილი ავტომანქანა დააზიანეს. მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები, მათ შორის, გაგრძელდება ინციდენტში მონაწილე პირების გამოკითხვები;

ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო თბილისში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. გამოძიებით დგინდება, რომ სკვერში მყოფმა ერთ-ერთმა მოქალაქემ, სავარაუდოდ, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი შენიშნა. მოქალაქის განმარტებით, მას აგიტატორის კუთვნილი სიები ჩაუვარდა ხელში, რის შემდეგაც რამდენიმე ახალგაზრდამ აღნიშნულ მოქალაქეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ძველი თბილისის მთავარ სამმართველოში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს;

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის N40 საარჩევნო უბანში, ძალადობის ფაქტის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ დამკვირვებლების შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. დამკვირვებლების გადმოცემით, ისინი საარჩევნო უბნის მიმდებარედ, საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი მკვიდრის კუთვნილ ავტოფარეხში მსხდომი პირების ვიდეოგადაღებას აწარმოებდნენ, რა დროსაც დაიწყო სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. ერთ-ერთი დამკვირვებლის განმარტებით, მან დაპირისპირების დროს მიიღო დაზიანებები და დასჭირდა კლინიკაში გადაყვანა. დამკვირვებლები ამ ეტაპზე უარს აცხადებენ პოლიციაში გამოკითხვის მიზნით გამოცხადებაზე.

ძალადობის შესაძლო ფაქტებზე საზოგადოებისთვის უკვე ცნობილ სისხლის სამართლის ორ საქმეზე გრძელდება გამოძიება.

ქალაქ ზუგდიდში, N20 საარჩევნო უბნის მიმდებარედ მომხდარი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე, ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ძალადობას გულისხმობს;

სენაკის N14 საარჩევნო უბნიდან, ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტის შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით;

გარდა აღნიშნულისა, პოლიციამ ზუგდიდსა და რუსთავში, ადმინისტრაციული წესით, ჯამში 6 პირი დააკავა. აღნიშნული პირები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც დაკავებულნი არიან ადმინისტრაციული წესით. ზუგდიდში ადმინისტრაციული საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის მიმართ წინააღმდეგობა) მუხლებით მიმდინარეობს, ხოლო რუსთავში – ამავე კოდექსის 173-ე მუხლით.

ზემოაღნიშნულ ფაქტებზე სამართალდამრღვევის ჩამდენი პირები არიან, როგორც მმართველი, ასევე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები.

ამასთან, საარჩევნო კანონმდებლობის, კერძოდ, კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე, ადამიანთა შეკრების ან ამომრჩეველთა აღრიცხვის ფაქტებზე, ასევე, 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსების ფაქტებზე, ამ ეტაპისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიღებული შეტყობინებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში რეაგირება განახორციელა 18 შემთხვევაზე. იქ, სადაც გამოიკვეთა კანონით დადგენილი დისტანციის დარღვევის პირველადი ფაქტი, შეკრებილ მოქალაქეებს პოლიციის მიერ მიეცათ გაფრთხილება. აღნიშნულის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შედგენილია შესაბამისი ოქმები.

გამოვლენილ ინციდენტებზე ტარდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით მიეწოდება ინფორმაცია.

სანაიას სიმსივნე დაუდგინდა

ფრანგული მედია ჩვენთვის ძალზედ არასასიამოვნო ინფორმაციას ავრცელებს. მათი ცნობით, კლუბ „როდეზის“ მცველს, 32 წლის ამირან სანაიას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. ამ თემასთან დაკავშირებით, კომენტარი კლუბის პრეზიდენტმა, ჟან ოლივიე მურამ გააკეთა.

„ჩვენ მიმდინარე კვირაში გავიგეთ ეს ამბავი. ამირანმა პირველი ტესტი უკვე ჩააბარა და მომდევნო კვირაში, ტულუზაში, ახალ ტესტს ჩააბარებს. ჩვენი კლუბი მის გვერდითაა და გაიღებს ყველაფერს, რაც ამირანს დასჭირდება. ეს არის ბრძოლა სიცოცხლისათვის, სანაიას აქვს მეომრის ხასიათი. ის უფრო ძლიერი დაგვიბრუნდება“, – აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, სანაიამ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები „გაგრასა“ და „ზესტაფონში“ გადადგა. ის ახალგაზრდა ასაკში წავიდა უცხოეთში და სხვადასხვა დროს, „ლე მანში“, „ბასტიაში“, „ლუზენაკში“ და „ერბიეში“ თამაშობდა.

„ბარსელონას“ კუმანის გაშვება 12 მილიონი დაუჯდება

კატალონიურმა „ბარსელონამ“ მთავარი მწვრთნელი, რონალდ კუმანი გაათავისუფლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჰოლანდიელის ხელმძღვანელობით „ბარსამ“ ჯერ „რეალთან“ წააგო საკუთარ კედლებში, შემდეგ კი „რაიო ვალეკანოსთან“ დამარცხდა. გუნდს ჯერჯერობით სერხი ბარხუანი ავარჯიშებს, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ უახლოეს დღეებში, „ბარსელონას“ კლუბის ლეგენდა, ხავი ერნანდესი ჩაიბარებს.

რაც შეეხება კუმანს, მან უკვე განაცხადა, რომ ფინანსური კრიზისის მიუხედავად, კლუბთან დათმობაზე არ წავა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 12 მილიონ ევროს მიიღებს.

„ვიცი, რომ „ბარსელონას“ ფინანსური პრობლემები აქვს, ამის გამო, თანახმა ვიყავი, ჩემი ხელფასი 8 მილიონ ევრომდე შემცირებულიყო და კლუბში ეს გაუხარდათ, თუმცა თანამდებობიდან გამიშვეს და ახლა კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებ. მე კონტრაქტით 12 მილიონი ევრო მეკუთვნის და ეს თანხა უნდა მივიღო“, – განაცხადა კუმანმა.

დოროყაშვილი ბასილაშვილს პოლიტიკური არჩევანის გამოც უპირისპირდება

მოგეხსენებათ, წინასაარჩევნოდ ცნობილი სპორტსმენები, მსახიობები თუ მომღერლები ამა თუ იმ ბანაკს და კონკრეტულ პოლიტიკოსს უჭერდნენ მხარს. ასე, მაგალითად, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა, ნიკოლოზ ბასილაშვილმა მხარდაჭერა კახი კალაძეს გამოუცხადა, რასაც მისი ყოფილი ცოლის, ნეკა დოროყაშვილის უმწვავესი კომენტარი მოჰყვა. მან არა მარტო ნიკა, არამედ, კალაძეც გააკრიტიკა და ყოფილ ქმარს უმძიმესი ბრალდებები წაუყენა.

„ცხოვრება საინტერესოა... ადამიანებს გვაქვს გარკვეული ნორმები და წესები, რითაც ვარეგულირებთ ერთმანეთთან ურთიერთობებს, ვიცავთ ჩვენი და ჩვენი ოჯახის ინტერესებს, ასევე არის ნებისმიერი ორგანიზაცია თუ სახელმწიფო. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როდის არის საუბრის დრო, როდის თავშეკავების და ზოგადად, რა როგორ ხდება ელემენტარული ნორმები. მით უმეტეს, როდესაც სახელმწიფო იძახის, რომ მიდის ევროპისა და ამერიკისკენ, გვესაუბრება დასავლურ ღირებულებებზე, ამ დროს ზიმბაბვესავით არ უნდა მოქმედებდეს. ადამიანი ბრალდებულია მეტად სამარცხვინო საქმეებზე, ლაჩრულ და არაკაცურ ქმედებებში, ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესები მის წინააღმდეგ, თან 1 კი არა 4 სხვადასხვა დავა, მათ შორის, 1 – ყოფილ ცოლთან და 2 – საკუთარ ღვიძლ შვილთან, 6 წლის ბავშვთან.

ასეთ დროს, ნებისმიერი პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მოხელეები და პარტიები ევროპასა და ამერიკაში, ცდილობენ, იყვნენ მეტად თავშეკავებულები და არ იყენებენ ბრალდებულებს 4 სხვადასხვა სასამართლო პროცესით, სხვადასხვა მხარეებთან თავიანთ პიარ და საარჩევნო კამპანიაში. სულ რომ უყვარდეს ადამიანს ეგ სპორტსმენი და გულშემატკივრობდეს, ელემენტარულად თუ აზროვნებ, კითხვები უნდა გაგიჩნდეს, რომ რამდენად ცუდი ტიპია და რამდენად საეჭვოა მისი კეთილსინდისიერება, როდესაც ადამიანს თუ კი სადმე შეიძლებოდა შეშლოდა, ყველგან შეეშალა და სხვადასხვა ადამიანებთან, სულ სხვა ერთმანეთთან კავშირში არ მყოფ საქმეებზე აქვს დავა.

ცოტა უფრო მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო ამ თემების განხილვისას და არ მჯერა და მასეთი მიდგომები აქ ძალას კარგავს, კარგი, ერთი საქმის არ გჯერა, მაგრამ არაფრის არ მჯერა, რას ნიშნავს?! ბრმა-ყრუობის ხანაა?! თუ მონობის პერიოდია, რომ ვინმესი ბრმად ირწმუნო და არფრის არ გჯეროდეს, ვითომ ანგელოზია, ამ დროს კი ის გარშემომყოფებს არასწორად ექცეოდეს, შეურაცხყოფას აყენებდეს, უსამართლოდ მოქმედებდეს, არღვევდეს შეთანხმებებს და რაც ყველაზე უპატიებელია, სცემდეს ჩოგნით საკუთარ ოჯახის წევრს.

შენ კი იდგე და ამბობდე, ییییی, არ მჯერااااა... ადამიანები ვიღებთ იმას, რასაც ვიმსახურებთ ადრე თუ გვიან და ამიტომ, მეტი გონიერებითა და კეთილსინდისიერებით უნდა მოვეკიდოთ გარკვეულ საკითხებს ჩვენს გარშემო. არ ვიცი მე, ესენი ევროპისკენ მიდიან თუ ზიმბამბვესკენ იმიტომ, რომ ძალადობაში ბრალდებული ადამიანი, რომლის პროცესებიც მიმდინარეობს და 4 სხვადასხვა დავა აქვს სხვადასხვა ადამიანებთან, ამჟამად პიარ კამპანიაში ჩართეს და საარჩევნოდ იყენებენ... ვინმეს ფეხი არ დაუცდეს და რამე არ მიჰქაროს, მით უმეტეს, თუ საქმეში ჩახედული არ ხართ, ძალადობის კადრები არ გინახავთ... ცოცხები, ცოცხებიო, რომ გაიძახით, ჩოგნები, ჩოგნებიო უნდა გაძახებინოთ... ჩა-

მოყალიბდით, ხალხო, დემოკრატია გინდათ და ევროპა, თუ ძალადობასა და მონობაში ცხოვრება, ზიმბამბვეს დონეზე“, – წერს დოროყაშვილი.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ელიტ-რაუნდში ითამაშებს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 2022 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ბეწვის ხიდზე გაიარა, 4 ქულა დააგროვა და ელიტაში თამაშის უფლება მოიპოვა. ტურნირი უნგრეთში ჩატარდა და ჩვენი გუნდის მეტოქეები ისლანდია, ესტონეთი და მასპინძელი უნგრეთი იყვნენ. პირველ შეხვედრაში საქართველო ისლანდიას 1:1 დაუზავდა, მეორე მატჩში უნგრეთს 1:0 ვძლიეთ, მესამეში კი დავმარცხდით, მაგრამ 4 ქულა ჯგუფიდან გასასვლელად გვეყო.

საინტერესო ის გახლავთ, რომ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები ელიტ-რაუნდამდე ხშირად მიდიან ანუ თანატოლებს ტოლ-სწორად ეთამაშებიან, იგებენ, ჩაგრავენ და... უკვე ეროვნულ ნაკრებში, უცხოელთა ის თაობა ბევრად გამართულ ფეხბურთს თამაშობს, ჩვენები კი თითქოს ერთ წერტილზე იყინებიან, განვითარებას ვეღარ ახერხებენ და შედეგიც სახეზეა – წლიდან წლამდე, ეროვნული გუნდის მოგება სანატრელი ხდება.

მარადონა 61 წლის გახდებოდა

1960 წლის 30 ოქტომბერს, ბუენოს აირესის უღარიბეს რაიონში დაიბადა ბიჭი, რომელმაც საფეხბურთო სამყარო შეცვალა. დიეგო არმანდო მარადონა თითქოს არაფრით გამორჩეული ბავშვი იყო, მაგრამ უკვე 4 წლის ასაკში, ბურთს, რომელიც მისი ფეხების სიმაღლე იყო, ისე ექცეოდა, რომ ყველას გაოცებას იწვევდა. შემდეგ დიეგო გაიზარდა და ბურთით საოცრებების კეთება დაიწყო. მარადონა დღემდე ბევრს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია და ეს მოსაზრება რეალობასთან ძალიან ახლოს დგას. დიეგო არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც 60 ათასამდე ადამიანს ოფიციალურ ღმერთად ჰყავს გამოცხადებული და მათთვის წელთაღრიცხვა 1960 წლიდან ანუ მისი დაბადებიდან იწყება.

შემდეგ იყო თავბრუდამხვევი კარიერა, არანაკლებ თავბრუდამხვევი სკანდალები, ნარკოტიკები, მსოფლიოს ჩემპიონობა, მსოფლიო ჩემპიონატზე წაგებული ფინალი, ნარკოტესტზე ჩავარდნა, ექვსი ცოლი, არაერთი შვილი (ოთხი ადამიანი დღესაც დაობს, რომ დიეგოს შვილია) და სწორედ ნარკოტიკების ჭარბი მოხმარების გამო შეწყვეტილი ცხოვრება. პრინციპში, მარადონას დახასიათება მის მიერვე ნათქვამი ფრაზით შეიძლება – „მე შეიძლება ვიყო თეთრი, შეიძლება ვიყო შავი. აი, ნაცრისფერი არასოდეს ვიქნები“.

იბრაჰიმოვიჩი ახალ გუნდს ეძებს

ზლატან იბრაჰიმოვიჩი სკეპტიკოსებს საკუთარი თამაშით აჩუმებს. როცა მიმდინარე სეზონში, მას „მილანმა“ კონტრაქტი 2022 წლის ზაფხულამდე გაუხანგრძლივა, ბევრმა თქვა, რომ შვედი ფორვარდი, პენსიონერივით, მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე იქნებოდა და ხელფასს მიიღებდა. ამის ნაცვლად კი, ზლატანი მუდმივად მოედანზეა, დაუღალავად შრომობს და აგერ, გასულ უქმეებზე, „მილანმა“ იტალიის დედაქალაქში, „რომა“, სწორედ მისი გოლით დაამარცხა.

„40 უბრალოდ ციფრია და მეტი არაფერი, მე საკუთარი თამაშით ვცდილობ, დავამტკიცო, რომ ბურთის გორება კიდევ შემიძლია და ეს კარგადაც გამომდის. არ ვიცი, გამიხანგრძლივებს თუ არა „მილანი“ კონტრაქტს სეზონის ბოლოს, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, მე სხვაგან წავალ, ახალ გუნდს მოვძებნი და მერწმუნეთ, ამის გაკეთება არ გამიჭირდება“, – განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

მისი გადაბირების სურვილი ჩინურმა და ყატარულმა კლუბებმა უკვე გამოთქვეს და მზად არიან, ზლატანს წლიურად 20 მილიონი დოლარიც გადაუხადონ.

ტაისონმა მარიხუანას მოყვანა დაიწყო

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, მაიკ ტაისონი ფულს სხვადასხვა შოუებში მონაწილეობით შოულობდა. არადა, რკინის მაიკს კარიერაში 56 შეხვედრა აქვს გამართული და საერთო ჯამში, მან 584 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. თუმცა, მაიკის ბუღალტრებმა იმდენი „მოახერხეს“, რომ აღნიშნული თანხა, უბრალოდ, მოპარეს და მოკრივე, ლამის მათხოვრად აქციეს. როგორც ჩანს, მხოლოდ შოუებით ნაშოვნი ფული ტაისონს არ ჰყოფნის, ამასთან იმის გათვალისწინებითაც, რომ ის მარიხუანას აქტიური მომხმარებელია და თვეში, დაახლოებით, 40 ათასი დოლარის ბაალახს მოიხმარს, ტაისონმა საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო – მან მარიხუნას პლანტაცია გააშენა. პლანტაცია კალიფორნიაში ააწყო, სადაც 2016 წლიდან, მოწევა ლეგალური გახლავთ.

„ძალიან მალე, ტაისონს ფულის პრობლემა აღარ ექნება, რადგან კვირაში ნახევარი მილიონის ღირებულების ბალახს ჰყიდის. ის თავად უვლის მარიხუანას თითოეულ ბუჩქს და თავადვე აგემოვნებს. შემოსავალთან ერთად, მაიკი მარიხუანაში ფულს აღარ იხდის, საკუთარ პროდუქციას ეწევა და ამით, მას რეკლამასაც უწევს“, – ნათქვამია ტაისონის წარმომადგენლის განცხადებაში.

რამდენად მისაღებია ყოფილი მოკრივისგან მარიხუანას რეკლამირება და გაყიდვა, თავად განსაჯეთ. მით უმეტეს, რომ დღემდე, ტაისონი არაერთი მოზარდის კერპად რჩება.

ლევონ ხეჩოიანი

(1955-2014 წწ.) ცნობილი სომეხი პროზაიკოსი, წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან

ზარი

თბილი, კოკისპირული წვიმა მოდიოდა. ჩვენს სოფელში მსგავსი წვიმა აქამდე არასდროს მოსულა. მთებში თოვლი ერთბაშად დადნა და სოფლის შუა გამავალმა მდინარემ ქუჩები თვალის დახამხამებაში გაავსო. ყველანი სახურავებზე ასულიყვნენ და შიშჩამდგარი თვალებით სკოლის საპირფარეშოს სახურავზე მარტოდდარჩენილ რუსული ენის მასწავლებელს უცქერდნენ. ვუყურებდით და ვფიქრობდით, რომ მისი გადარჩენა შეგვეძლო. როდესაც ყვითელმა ღვარცოფმა სახლებიც გაავსო და იქიდან ახალშობილი ბატკნები, ფიცრები და ყუთში ჩამსხდარი კვერცხისმდებელი ქათმები გარეთ გამოიტანა, თითოეული ჩვენგანი კვლავ ფიქრობდა, რომ ცურვით შეიძლებოდა სკოლის საპირფარეშოსთან მისვლა და რუსული ენის მასწავლებლის გადარჩენა.

თბილი წვიმის ქვეშ იგი მდუმარედ იდგა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაეხადა და ხელში ეჭირა, საშველად არავის უხმობდა, არ ტიროდა. როდესაც ყვითელი ნიაღვარი ომის გმირ ჰაიროს სახლში შევარდა, იქიდან მისი წყვილი ჩასადგმელი ფეხები გამოიტანა და თან წაიღო, თითოეული ჩვენგანი კვლავ დარწმუნებული იყო, რომ რუსული ენის მასწავლებლის გადარჩენა შეეძლო. საჭირო იყო არა პირდაპირ, არამედ, სკოლის ეზოს ზედა ბოლოდან გაგვეცურა, რათა წყლის დინებას საპიფარეშოსთან მივეყვანეთ.

ის მუქი ფერის ტუჩის საცხს იყენებდა, საუბრისას, ქერა თმას მსუბუქი მოძრაობით უკან იწევდა და გაღიმებისას, ლოყაზე პატარა ჩაღრმავება უჩნდებოდა. სოფლელები ამბობდნენ, რომ ბრიუსოვის „ანგლო-რუსული“ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ წესიერად არავინ იცოდა, რას ნიშნავდა ეს „ანგლო-რუსული“. უბრალოდ, ეს უცხო სიტყვები ჩვენ გვახსენებდა, რომ იქ, ციურ სულებს მიწიერნი ასხვაფერებენ, რომ ეს სიტყვები მას ყველაზე მეტად შეეფერება და ვერცხლის ჟღერადობას სძენს.

შეყვარებული ბიჭები მას სკოლის გზაზე აჩერებდნენ და შორეული მეგობარი გოგონებისთვის დეპეშის ტექსტის შედგენაში დახმარებას სთხოვდნენ, თან თვალებდახრილი ეუბნებოდნენ: „შენ ძალიან გგავს, გაღიმებისას, მასაც ლოყაზე პატარა ჩაღრმავება უჩნდება“. ჯარში მიმავალ ბიჭებს გულის ჯიბეში მისი შეთხზული პოეტური ტექსტები ედოთ. მერვე, მეცხრე და მეათეკლასელი ბიჭები ულვაშს უშვებდნენ, ხოლო მეშვიდეკლასელები – შარვლების გაუთოებას დებსაც კი არ ანდობდნენ. ერთხელ მექანიზატორ სედრაკს მისთვის უთქვამს: „ინგლისი ძალიან მიყვარს, ვერ მომიყვები, მათთან ხორბალს რა ტექნოლოგიით თესავენო?“. სოფლიდან რამდენიმემ თავისი ცოლი ახალქალაქშიც კი წაიყვანა, რომ თმა ნვარდის მსგავსად შეეჭრათ.

როდესაც წელზე თოკმობმული რამდენიმე მამაკაცი ხის ტაშტებში ჩასვეს, რათა გაეცურათ და შენობაში დარჩენილი ჰაირო გადაერჩინათ, დასაკლავი პირუტყვივით რომ ბღაოდა, ყვითლად მოზვირთულმა ტალღებმა ტაშტები კედელ-კედელ ახეთქეს და თვალის დახამხამებაში დაამსხვრიეს. მაშინაც კი, თითოეული ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ სკოლის საპირფარეშოსთან მისვლა შეიძლებოდა, ოღონდ საჭირო იყო, არა თუ დინების მიმართულებით, არამედ, საპირისპიროდ გაცურვა, მორევს რომ არ ჩაეთრიე. ასე თუ ვიმოქმედებდით, შეგვეძლო ადგილამდე მისვლა და ნვარდის გადარჩენა. შენობის შიგნით ჰაირო ბღაოდა, იხრჩობოდა. მამაკაცებმა სახურავი ჩაანგრიეს და მისი ფეხებმოკვეთილი, ხორცისგუნდა სხეული თოკებით ასწიეს, ზევიდან გაიყვანეს.

მდინარე ბობოქრობდა, ფრინველთა ბუდეები და ხის ხმელი ტოტები მოჰქონდა, თაღოვან ხიდს აყრიდა. როდესაც თვალის დახამხამებაში ხიდი ნაპირს მოსწყდა და ტალღებზე კოტრიალით გაუჩინარდა, თითოეული ჩვენგანი კვლავ დარწმუნებული იყო, რომ საპირფარეშომდე მისვლას ცურვით შესძლებდა და თოვლგამლღვალ გაყინულ წყალში ფეხი თუ გაუშეშდებოდა, ნემსით დაიჩხვლეტდა. შემდეგ მდინარის სწრაფმა დინებამ ძირფესვიანად მოგლეჯილი უზარმაზარი ხე ჩამოიტანა. ხე დინებას მოსწყდა, სკოლის ეზოში შევიდა და რწევა-რწევით, ქვევით დაეშვა. ეს მომენტალურად მოხდა და ყველამ ერთდროულად შენიშნა, თუმცა თითოეული ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ მოცურავე ხე ხელს ვერ შეუშლიდა, მასთან შეხვედრის შემთხვევაში, შეიძლებოდა ჩაეყვინთა, მერე მინდვრის ყვავილების სურნელის მქონე სუნამომოპკურებულ ნვარდისთვის მხრებზე ხელი მოეხვია, თბილ და თავსხმა წვიმაში, ყვითელ ტალღებზე ზურგზე დაწოლილს გაეცურა და იგი სახურავებამდე მიეყვანა.

მსხვილტანიანი ხე სკოლის აივნის ხის ბოძებს გამოედო, დარტყმისგან ეკლესიის სამრეკლოდან მოტანილი სკოლის ზარი ლავგარდნიანად მოსწყდა და წყალში ჩაიძირა. ხემ მიმართულება შეიცვალა. ტრიალ-ტრიალით მძიმედ მოძრაობდა. ნვარდმა ეს თავადაც შენიშნა. სახურავზე ჩამოჯდა. კედელზე გადმოკიდებულ ფეხებს უკვე ყვითელ მღვრიე წყალს უწვდენდა. შიშველ ფეხებზე ფეხსაცმელი ჩაიცვა, ისევ გაიხადა, წინდის ჩაცმა დაიწყო და მერე – ფეხსაცმლის. შეკრებილთაგან ვიღაცამ თქვა: „ამას რა აზრი აქვს?“... შემდეგ ვერ შევძელით გახსენება, ვიღაცამ ეს ხმამაღლა თქვა თუ თითოეულმა ჩვენგანმა მხოლოდ ფიქრში ამოთქვა. როდესაც მან მეორე წინდა და ფეხსაცმელიც ჩაიცვა, ყველა მიხვდა, თუ როგორ უზომოდ სჯეროდა ნვარდს ცხოვრების, თუ რატომ არ ტიროდა და შველას რატომ არ ითხოვდა.

შეკრებილთაგან ვიღაცამ თქვა – „ჩაცმას რა აზრი ჰქონდა?“ და სწორედ იმ მომენტიდან, თითოეულ ჩვენგანს უკვე აღარ სჯეროდა, რომ ცურვით შეძლებდა ნვარდამდე მისვლას და მის გადარჩენას. ხემ, როგორც ასანთის კოლოფი, საპირფარეშო ისე გააფრიალა. ჩაძირული ნვარდი ყვითელ წყალზე აღარ გამოჩენილა, არცერთი წამით აღარ გამოჩენილა. შეკრებილი მამაკაცები შურითა და სიძულვილით უყურებდნენ ომში ფეხებდაკარგულ ჰაიროს. თბილი და კოკისპირული წვიმა არ წყდებოდა.

ოთხი დღის შემდეგ, წყლებმა უკან დაიხიეს. მისი სხეული და სამრეკლოს ზარი სოფლიდან ძალიან შორს, მდელოზე დაშლამული და წყალმცენარეებით დაფარული იპოვეს. დედაქალაქში მცხოვრები დამწუხრებული მშობლები ჩამოვიდნენ და მდიდრული მანქანით კუბო წაიღეს.

ზარი შლამისგან გაწმინდეს და შეკეთებულ ლავგარდანზე კვლავ ჩამოკიდეს. მას დაკარგული ჟღერადობა დაუბრუნდა. მამაკაცები კი, რომლებიც შუაღამისას დაფეთებული წამოხტებოდნენ ხოლმე, ერთხმად აცხადებდნენ, რომ იმ მომენტში ზარს ვიღაც რეკავდა. დანარჩენებმა შუაღამემდე იფხიზლეს და ზარის რეკვა მათაც გაიგეს. სოფლის თავზე მოლივლივე, ფრთაგაშლილი ღელვისგან შუშები ზრიალებდნენ და კლებად ღამეში, კვლავ და კვლავ, შორეული ფრთების ტყლაშუნი ისმოდა.

სომხურიდან თარგმნა გელა გელაშვილმა

ერთი პროცედურა მოხდენილი ფიგურისთვის

რაც უნდა საკამათო იყოს, თანამედროვე სამყაროში ქალის სილამაზის აუცილებელი პირობა მისი სხეულის მოხდენილობაა. თანაც, ამ სილამაზის სტანდარტებმა ასაკობრივი ზღვარიც საკმაოდ შორს გადასწიეს. სუსტი სქესის ნებისმიერ წარმომადგენელს სურს, ლამაზი სხეული ჰქონდეს. საამისოდ კი ბევრს არ შეუძლია დიეტის დაცვა ან ფიზიკური ვარჯიშები. სწორედ ასეთი ადამიანების დასახმარებლად, კომპანია Invasix-მა შექმნა უნიკალური აპარატი Body Tite, რომელიც საშუალებას იძლევა, ზედმეტი ცხიმისგან სწრაფად და ძალიან ეფექტურად გათავისუფლდეთ.

ამ მეთოდში ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ჭარბი ცხიმის მოცილებას ერთი პრობლემური ზონიდან, სულ რაღაც, ერთი პროცედურა სჭირდება. თანაც, ამ ადგილზე კანი იჭიმება, უფრო ახალგაზრდავდება და ჩამოკიდებული კანისთვის დამატებითი პროცედურებიც აღარაა საჭირო. მეთოდი, რომელიც მიკროქირურგიის კატეგორიაში გადის, სრულფასოვანი პლასტიკური ოპერაციის ეფექტს იძლევა, თუმცა მისი ღირებულება გაცილებით ნაკლებია. როგორც კომპანიის სპეციალისტები ირწმუნებიან, მიღწეული შედეგები მრავალი წლის განმავლობაში ნარჩუნდება.

ავტობუსები გამოძინების მსურველებისთვის

ჰონგ-კონგში მცხოვრებ ადამიანებს ღამით კარგად გამოძინებისთვის დრო არ ჰყოფნით. სწორედ ამიტომ, ქალაქში Ulu Travel-ის ავტობუსები მათთვის დადიან, რომელებსაც გზაში გამოძინება სურთ. ტურისტული მარშრუტის სიგრძე 76 კილომეტრია და ამ მანძილს ავტობუსი 5 საათში გადის. ტურის ორგანიზატორების თქმით, ბევრ მგზავრს უყვარს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩათვლემა.

„როცა ახალი ტურების იდეებს ვამუშავებდით, თვალში მოგვხვდა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტი, სადაც მომხმარებელი აღნიშნავდა, რომ ღამის უძინარმა გზაში, ავტობუსში გამოიძინა“, – აცხადებენ იდეის ავტორები.

ორსართულიანი ავტობუსით მგზავრობის საფასური 13-დან 51 დოლარამდეა, ფასი იმაზეა დამოკიდებული, რომელი ადგილის ბილეთი გაქვთ. ამ უჩვეულო ტურში, ყველა მგზავრს აძლევენ ნიღბებს ძილისთვის. პირველად ახალი ტური Sleeping Bus Tour ორი კვირის წინ დატესტეს. ზოგმა კლიენტმა თან პლედი, ჩუსტები და საგზაო ბალიშიც კი მიიტანა.

შტატიანი ჯადოქარი სამსახურიდან გაუშვეს

კრაისტჩერჩი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც 1982 წლიდან, ოფიციალური, ხელფასიანი ჯადოქრი ჰყავდათ. იენ ჩენელი, ახალ ზელანდიაში ცნობილია, როგორც ოფიციალური ჯადოქარი, ის ქალაქის მუნიციპალიტეტში 1998 წლიდან მუშაობდა და მისი წლიური ხელფასი 11 ათას დოლარზე მეტს შეადგენდა. მიმდინარე წლის დეკემბრიდან კი ეს თანამდებობა გაუქმდება და კრაისტჩერჩიც, საკუთარი ჯადოქრის გარეშე, კვლავ ერთ, ჩვეულებრივ ქალაქად იქცევა. ასეთი გადაწყვეტილება ქალაქის ხელმძღვანელობამ ჩენელის შეხედულებებისა და იმ გამონათქვამების გამო მიიღო, რომელთა მიხედვითაც გაირკვა, რომ ის ქალზე ძალადობას ამართლებდა. თუმცა, მოძალადეებს აფრთხილებდა კიდეც, რომ ადვილად აჩნდებათ ჩალურჯებები, შედეგად, მეზობლებსა და მეგობრებს ყველაფერს მოუყვებიან და პრობლემები შეგექმნებათო (!!!).

კრაისტჩერჩისა და ახალი ზელანდიის მთავარი ჯადოქრის როლში, მისტერ ჩენელმა იცეკვა დიდი გვალვის დროს, რათა წვიმა მოსულიყო; იბრძოდა იმისთვის, რომ ქალაქის სატელეფონო ჯიხურებისთვის ფერი არ შეეცვალათ და პირადად ღებავდა ლურჯ ჯიხურებს ისევ წითელ ფერად; რაგბის ადგილობრივი გუნდის გამარჯვებისთვის შელოცვებს ამბობდა...

ამ ყველაფრის მიუხედავად, ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა, რომ დღევანდელ ტურიზმს ახალი მიდგომები სჭირდება და ძალადობის მომხრე ჯადოქრის მომსახურებაზე უარი თქვა.

კუბოები „კალმარის თამაშიდან“

Netflix-ის გახმაურებული სერიალიდან – „კალმარის თამაშები“, ესპანელებმა კუბოების დამზადება დაიწყეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, სარიტუალო სახლმა Arcae-მ, საკუთარი ქმნილება დამკრძალავი კულტურის ყოველწლიურ გამოფენაზე – Funermostra წარადგინა, რომელიც ვალენსიაში გაიმართა. კომპანიაში აცხადებენ, რომ პოპულარული სერიალის მიხედვით, სპეციალურად გამოფენისთვის, ჯერჯერობით, კუბოს ერთი ეგზემპლარი შექმნეს. მისი მასიური წარმოება კი შეკვეთების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული.

ბანანს კანიანად დააგემოვნებთ

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, ინოვაციური „გაყინვა-გალღობის“ მეთოდის გამოყენებით, ბანანების ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომლის კანიც იჭმევა. Mongee-ს ბანანები ქიმიკატების გარეშე გამოიყვანეს, ის ვიტამინებისა და საკვები მიკროელემენტების უფრო მეტ რაოდენობას შეცავს, ვიდრე ბანანის ჩვეულებრივი ჯიშები. ამჟამად, Mongee-ს ჯიშის ხილი მხოლოდ იაპონიაში, მცირე პარტიებად მოჰყავთ, თუმცა სამომავლოდ, მისი უცხოეთში ექსპორტიც იგეგმება.

ვაქცინაციისთვის ბლუზა შეკერეს

იტალიური პრემიუმ-კლასის ბრენდმა – OFF-White, რომელიც საგარეო ტანისამოსზეა სპეციალიზებული, ახალი ბლუზა გამოუშვა. ბლუზა ბრენდის ოფიციალურ ინტერნეტ-მაღაზიაშია წარდგენილი და მას რამდენიმე ადგილას ნახვრეტი აქვს. უფრო ზუსტად, ესაა შავი ფერის გრძელსახელოიანი მაისური, რომელსაც მრგვალი ფორმის სამი, დიდი ნახვრეტი „ამშვენებს“ მკლავზე – აცრის ადგილას, მკერდს ზემოთ და წელთან.

ბლუზის ღირებულება საკმაოდ შთამბეჭდავია – დაახლოებით, 600 ევრომდე ჯდება. ამ უჩვეულო დიზაინის ტანსაცმელს სოციქსელებში უკვე დასცინეს. „შეაჩერეთ ესენი, თორემ ყველგან ნახვრეტებს გაუკეთებენ“; „კუნთში, ნემსის გასაკეთებელი შარვლები არ გაქვთ?!“ – წერენ მომხმარებლები.

უკანასკნელ გზაზე ფილმის გმირებმა მიაცილეს

78 წლის ბრიტანელმა ქალბატონმა ბრენდა მორისმა, რომელიც საზოგადოებისთვის 2010 წელს, X Factor-ში მონაწილეობით გახდა ცნობილი, თანამემამულეების ყურადღება გარდაცვალების შემდეგაც მიიპყრო. მის ცხედარს, რომელსაც კრემატორიუმში მიასვენებდნენ, „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟები მიაცილებდნენ. სამგლოვიარო ცერემონიას სითების მბრძანებელი, უმაღლესი სარდალი, დარტ ვეიდერი მიუძღოდა. ჩანს, ბრენდას ახლობლებმა მისი უკანასკნელი სურვილის შესრულებაზე უარი არ თქვეს და ბოლო გზაზე, სწორედ საყვარელი პერსონაჟების სამოსში გამოწყობილმა ადამიანებმა გააცილეს.

თანამშრომლებს სიურპრიზი გაუკეთა

ამერიკული ბრენდის Spanx-ის დამფუძნებელმა და დირექტორმა სარა ბლეიკლიმ, ცოტა ხნის წინ, კომპანია Blackstone-თან გაფორმებული 1.2-მილიონიანი ხელშეკრულება და წარმატებული პარტნიორობა განსაკუთრებულად აღნიშნა. სარამ თითოეულ თანამშრომელს 10 ათასი დოლარი და თვითმფრინავის პირველი კლასის 2 ბილეთი აჩუქა ნებისმიერი მიმართულებით. ბლეიკლის კომპანია, ძირითადად, ტანზე მომდგარი და კომფორტული საცვლების წარმოებითაა ცნობილი. მისი დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ წარმატებას თანამშრომლების გარეშე ვერ მიაღწევდა, ამიტომაც მათი გახარება გადაწყვიტა.

„ძალიან მინდა, რომ თითოეულმა დასაქმებულმა ეს ფაქტი თავისებურად იზეიმოს და ისეთი მოგონებები დარჩეს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ემახსოვრება“, – ამბობს სარა.

გავრცელებულ ვიდეოში, მოულოდნელი სიურპრიზით გახარებული თანამშრომლების რეაქციებიც ჩანს, რომლებიც სიხარულისგან ტირიან და სამომავლო გეგმებზე საუბრობენ.

ბავშვები ნათლიების გარეშე დარჩნენ

სიცილიაზე, ქალაქ კატანიას კათოლიკურმა ეკლესიამ, ნათლობის ცერემონიაში ნათლიების მონაწილეობა აკრძალა. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად ის სახელდება, რომ ნათლიის ფიგურამ სულიერი მნიშვნელობა დაკარგა. კატანიის გენერალური ეპისკოპოსის თქმით, ნათლია, რომელიც ადრე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნათლულის რელიგიურ აღზრდაში, დღეს უკვე ფორმალობად ან ოჯახის კეთილდღეობის ამაღლების მეთოდად იქცა. ნათლიად იწვევენ გავლენიან ადამიანებს, რომელთაც ათობით ნათლული ჰყავთ. გარდა ამისა, ნათლიის ფიგურას მაფიაც იყენებს და შესაძლოა, ამანაც მოახდინა გავლენა აკრძალვაზე.

აღსანიშნავია, რომ კატანიის მოქალაქეები ძალიან უკმაყოფილოები დარჩნენ ამ გადაწყვეტილებით. მართალია, ბავშვებს ნათლავენ, მაგრამ ნათლიების გარეშე, ამიტომ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები, შვილებს უკვე სხვა ეკლესიებში ნათლავს. მსგავსი აკრძალვა ადრე ქალაქ კორლეონეში შემოიღეს. მიზეზი ის გახდა, რომ „კოზა ნოსტრას“ ყოფილი ბოსის შვილმა ბავშვი მონათლა. ამ შემთხვევის შემდეგ, ნათლობის ცერემონიაში მაფიის წევრების მონაწილეობა 10 წლით აკრძალეს.

დაბერების მთავარი მიზეზი აღმოაჩინეს

ბერნის უნივერსიტეტის შვეიცარიელმა სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ვისცერალური ცხიმი, რომელიც ადამიანის მუცლის ღრუში მდებარეობს, ორგანიზმის დაბერების მთავარი მიზეზია. მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ხელს უწყობს მსუბუქ ქრონიკულ ანთებას. თავის მხრივ, ცხიმი აჩქარებს ასაკობრივ დაავადებებს და ასუსტებს იმუნიტეტს. კერძოდ, საუბარია ლეიკოციტებსა და ეოზინოფილებზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სისხლძარღვთა სისტემაში მდებარეობენ, ვისცერალურ ცხიმოვან ქსოვილებშიც აღმოაჩინეს. ასაკთან ერთად, ასეთი უჯრედების რაოდენობა მცირდება, ანთების საწინააღმდეგო მაკროფაგებისა კი პირიქით – მხოლოდ იზრდება. შწორედ ამის გამო წარმოიქმნება დისბალანსი მუცლის ღრუში და შედეგად, ორგანიზმი სწრაფად ბერდება. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა ორგანიზმიდან ეოზინოფილების გადანერგვა ამ პროცესს შეაჩერებდა.

ცოლთან ყოფნას ციხე ამჯობინა

შინაპატიმრობაში მყოფმა ალბანეთის მოქალაქემ პოლიციას თხოვნით მიმართა, ციხეში ჩამსვითო. თავისი უჩვეულო საქციელი მეუღლესთან კონფლიქტებით ახსნა – ჩემი შინაპატიმრობა ჯოჯოხეთად იქცა და მირჩევნია, სასჯელი გისოსებს მიღმა მოვიხადოო.

სამართალდამცავების ცნობით, მანამდე, რამდენიმე თვის მანძილზე, მამაკაცმა პირობითი სასჯელი ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის მოიხადა. ამჯერად კი, თავისუფლებას რამდენიმე წლით დაემშვიდობება.

მკითხავს სასამართლოში უჩივის

ამერიკელი მაურო რესტრეპო სასამართლოში უჩივის მკითხავს და მისგან, კომპენსაციის სახით, 25 ათას დოლარს ითხოვს. ქალმა ჯადო ვერ მოხსნა, რომელიც მას, თითქოსდა, ყოფილმა საყვარელმა გაუკეთა. რესტრეპოს თქმით, მის ქორწინებას საფრთხე შეექმნა, ამიტომ გადაწყვიტა, ნათელმხილველისთვის მიემართა. სოფია ადამსს, რომელიც თავს „სასიყვარულო საქმეების ექსპერტს“ უწოდებს, ინტერნეტში მიაგნო.

„ტაროს“ გაშლის შემდეგ, მკითხავმა უთხრა, რომ ჯადო ჰქონდა გაკეთებული, რასაც 5 ათასი დოლარის სანაცვლოდ მოხსნიდა. დაიმედებულმა კლიენტმა ადამსს წინასწარ 1000 დოლარი გადაუხადა და მკითხავთან სეანსების შემდეგ სასურველ ეფექტს ელოდა, თუმცა უშედეგოდ. მამაკაცი მიხვდა, რომ მკითხავმა მოატყუა და სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა. ახლა მორალური და მატერიალური ზიანის გამო, მისგან 25 ათას დოლარს ითხოვს.

ურჩ მძღოლებს იძულებით დაასვენებენ

ესტონეთის ხელისუფლეფლებაში, სიჩქარის გადაჭარბების მოყვარულთათვის სასჯელის ახალი ზომა მოიფიქრეს – მათ გზიდან გადაიყვანენ და 45 წუთის განმავლობაში, იძულებით „დაასვენებენ“. თუმცა, რასაკვირველია, ტრადიციულად, მათ ჯარიმის გადახდაც მოუწევთ. სიახლეს „დამამშვიდებელი გაჩერება“ უწოდეს. იდეის ავტორების თქმით, დროის დაკარგვამ მოძრაობის წესების დამრღვევებზე გაცილებით მეტად უნდა იმოქმედოს, ვიდრე ჯარიმის გადახდამ. კანონპროექტი ექსპერიმენტის სახით, გასული წლიდან ამუშავდა, თუმცა მიმდინარე წლის დეკემბრიდან, სრული სახით ამოქმედდება. ესტონელი პოლიციელები ამბობენ, რომ მძღოლებს ჯარიმა სასჯელად არ მიაჩნიათ, მათთვის ის მორიგი მომსახურებისთვის გადახდილი თანხაა.

მდიდრებს სეიფებს ალპებში სთავაზობენ

შვეიცარიული ფირმა Bruenig Mega Safe AG, რომელიც მშენებლობითაა დაკავებული, შეძლებულ ადამიანებს ფულისა და ძვირფასეულის შენახვის უჩვეულო მეთოდს სთავზობს. საცავის სახით, კომპანია მათ გამოუყოფს სივრცეს ალპების მთებში, რომლის ფართობიც ათი საფეხბურთო მოედნისას უტოლდება. საცავში შესაბამისი ტემპერატურა და ტენიანობა იქნება და ასეთი საწყობები შესაფერისი იქნება ხელოვნების ნიმუშების, ოქროს, კლასიკური ავტომობილების შესანახად. შესაძლებელი იქნება ღონისძიებების გამართვა უსაფრთხოების დაცვის უმაღლესი დონით.

რაც შეეხება თანხას, ამ საცავში ფულის შენახვა 500 ათასი დოლარიდან იწყება. კომპანია უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ათობით პოტენციურ კლიენტთან, რომელთა შორის არიან სამხატვრო გალერეები და უმდიდრესი ადამიანები. საკუთარ სეიფებთან მისვლას კლიენტები ნებისმიერ დროს, გვირაბის საშუალებით შეძლებენ, რომელშიც სატვირთოებიც კი გაივლიან. მშენებლობის დასაწყებად, პირველ ეტაპზე, კომპანიას 7.5 მილიონი დოლარი სჭირდება ინვესტორებისგან. ალპებში საცავის გამოჭრა უკვე დაიგეგმა, მის ამუშავებას ფირმის წარმომადგენლები 2022 წლისთვის ვარაუდობენ.

პირბადეები ბეკონის არომატით

თითქმის ბოლო ორი წელია, პირბადეზე უფრო მნიშვნელოვანი აქსესუარი აღარ არსებობს. იმისდა მიხედვით, რომ ნიღბები სულ უფრო პოპულარული ხდება, კვების პროდუქტების მწარმოებელმა ამერიკულმა კომპანია Hormel Foods-მა მოიფიქრა, როგორ გახადოს იძულებითი დაცვა მადისაღმძვრელი. სპეციალისტებმა ისეთი პირბადეები შექმნეს, რომ მათი მოხსნა მომხმარებელს არ მოუნდება, რადგან ბეკონის არომატი აქვთ.

როგორც ახალი პირბადის აღწერაშია ნათქვამი, Black Label Breathable Bacon-ნიღბების შექმნისას, უახლესი ტექნოლოგია – ორმაგი ფენის არომატიზაცია გამოიყენეს. ამის საშუალებით, პირბადე შესანიშნავად ინარჩუნებს ბეკონის მადისაღმძვრელ სურნელს. ასეთი პირბადე მაღაზიებში არ იყიდება, მისი მოგება შეიძლება კონკურსში, რომელსაც კომპანია Hormel Foods ატარებს. აღსანიშნავია, რომ ყოველ გათამაშებულ ნიღაბზე, კომპანია გაჭირვებული ადამიანისთვის ერთი სადილის ფასს იხდის საქველმოქმედო ორგანიზაციაში.

უსმარტფონო „უიკ-ენდში“ ფულს გადაუხდიან

როგორ ფიქრობთ, გაძლებთ უტელეფონოდ 48 საათს? შეერთებულ შტატებში, ამისთვის შეგიძლიათ, 1000-დოლარიანი ჯილდოც კი მიიღოთ. კომპანიამ სოლტ-ლეიკ-სიტიდან, რომელიც სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით მომსახურებაზეა სპეციალიზებული, გადაწყვიტა, ერთ ბედნიერ ადამიანს ციფრული დეტოქსი მოუწყოს. მათი პირობა მარტივია: პროგრამის მონაწილემ, ქვეყნის ერთ-ერთ ნაციონალურ პარკში უნდა „იცხოვროს“ და ორი დღით, უარი თქვას ნებისმიერი ტექნოლოგიის გამოყენებაზე.

ის კომპანიის მიერ ნაქირავებ, „ბორბლებიან სახლში“ იცხოვრებს და მათგან საჩუქრად 1000 დოლარსაც მიიღებს. მონაწილეს შეუძლია, მეგობარიც წაიყვანოს, თუმცა ციფრულ ცდუნებასთან გამკლავება მასაც მოუწევს. „უიკ-ენდის“ დასრულებისთანავე, ის ქსელში დაბრუნდება და უინტერნეტო დასვენების დღეების შთაბეჭდილებებს სხვებსაც გაუზიარებს. პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატი 25 წელზე მეტი უნდა იყოს, აშშ-ში ცხოვრობდეს და ჰქონდეს მართვის მოწმობა.

ყველაზე მსუქნები ბრიტანელი ქალები არიან

მკაცრი, ელეგანტური, დახვეწილი და გრაციოზული ინგლისელები სულ მალე ისტორიას ჩაბარდებიან. მათ ადგილს კი მსუქანი ადამიანების „ნაცია“ დაიკავებენ – უამრავი დაავადებით, რაც ჭარბი წონითაა გამოწვეული. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მომავლით აშინებენ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებლებს სოციოლოგები. მათ გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც, ოფიციალურად, ბრიტანელი ქალები ყველაზე მსუქნებად აღიარეს ევროპაში. ჭარბი წონისგან აქ 18-დან 24 წლამდე ასაკის სუსტი სქესის წარმომადგენელთა 16.6% იტანჯება, რაც თითქმის ყოველი მეოთხე ბრიტანელია. ამასთან, მათი მაჩვენებელი გაცილებით უარესია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისა. მაგალითად, ახალგაზრდა ფრანგ ქალებში სიმსუქნე მხოლოდ 12%-ს ახასიათებს, ესპანელებში – 14.4%-ს, იტალიელებში კი, მიუხედავად ქვეყანაში პოპულარული პიცისა და მაკარონისა, ჭარბ წონას მხოლოდ 9.3% უჩივის. ბრიტანელ ქალებს დიდად არც აქაური მამაკაცები ჩამორჩებიან – მათი 22.1% ჭარბწონიანია, რაც მალტის შემდეგ, ევროპაში მეორე უარესი მაჩვენებელია.

შინაური ცხოველები ინფარქტის წინააღმდეგ

ასეთ დასკვნებს შვედი მეცნიერები აკეთებენ. მათ 40-85 წლის ასაკის 3.8 მილიონზე მეტი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს. 2002-2012 წლებში, თითოეულმა მათგანმა ინფარქტი ან ინსულტი გადაიტანა. ზოგიერთს ერთი ან მეტი ძაღლი ჰყავდა. აღმოჩნდა, რომ ძაღლის პატრონებში რაიმე მიზეზით ნაადრევი სიკვდილის რისკი – 24%-ით, გულის შეტევით სიკვდილის – 65%-ით, გულსისხლძაღვთა სხვა პრობლემებით სიკვდილის კი – 31%-ით შემცირდა მათთან შედარებით, რომლებსაც შინაური ცხოველები არ ჰყავდათ. სწავლულების აზრით, თუ ძაღლის პატრონი საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ მარტო ცხოვრობდა, მეორე ინფარქტის რისკი 33%-ით ნაკლები ჰქონდა, ვიდრე იმავე სიტუაციაში მყოფ ადამიანს, რომელსაც ძაღლი საერთოდ არ ჰყოლია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.